პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 111 (20807) — პარასკევი, 11 მაისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

15 მაისს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს მიმდინარე წლის 12 და 14 მაისს, დილის 10 საათიდან, ხოლო 15 მაისს — დილის 8 საათიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიის XXVIII ყრილობის მოსამზადებელ კომისიაში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში რამდენიმე დღის განმავლობაში მუშაობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიის XXVIII ყრილობის მოსამზადებელი კომისიის წევრთა ჯგუფი, რომელშიც შედიან დიდი პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიული კომიტეტების მდივნები. მან განიხილა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში შემოსული წინადადებები და შენიშვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტების შესახებ და დებულებები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თაობაზე.

პარტიული კომიტეტების მდივნებმა შენიშვნები გამოთქვეს გამოქვეყნებული პროექტების შინაარსის გამო, შეიმუშავეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებები, რომლებიც ასახავენ პარტიული მუშაობის თავისებურებებს ცვალებად პირობებში, შეიტანეს დამატებანი და ცვლილებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტში.

დოკუმენტებზე მუშაობა, ადგილებიდან შემოსული შენიშვნებისა და შესწორებების განხილვა გაგრძელდება.

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელშიც მოისმინა და განიხილა ამ კომისიის თავმჯდომარის ზაალ გენძეზაძის მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის შემდეგ გაწეული მუშაობის შესახებ. მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ სარევიზიო კომისიის წევრები: საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ

საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიაში

ბასარია, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის „გამგეობის თავმჯდომარე ვლადიმერ პატეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე სერგო რიგვავა, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფილიპე მახარაძე.

(საქინფორმი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გადასახადის გადამხდელნი

სსრ კავშირში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელნი არიან სსრ კავშირის მოქალაქენი, უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი (შემდეგ „მოქალაქეებად“ წოდებულნი) როგორც სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონენი, ისე არმქონენი.

მოქალაქეებს, რომლებიც დაბეგვრის მიზნით განიხილებიან როგორც სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონენი, განეკუთვნებიან მოქალაქენი, რომლებიც სსრ კავშირში იმყოფებიან 183 დღეზე მეტ ხანს კალენდარულ წელიწადში.

მუხლი 2. დასაბეგრი შემოსავალი

1. სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე მოქალაქეთათვის დაბეგვრის ობიექტია ფულადი თუ ნატურალური ფორმის შემოსავალი, როგორც მიღებუ როგორც სსრ კავშირის ტერიტორიაზე, კონტიგენტურ შელფზე და სსრ კავშირის ეკონომიკურ ზონაში, ისე სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ.

სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე მოქალაქეთა შემოსავალი იბეგრება გადასახადით, თუ ეს შემოსავალი მიღებულია სსრ კავშირში არსებული წყაროებიდან.

2. უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავლის გადასახადის გასტუმრება გადამხდელის სურვილისამებრ წარმოებს მანეთობით ან უცხოური ვალუტით, რომელსაც სსრ კავშირის სახბანკი ყიდულობს. ამასთან, უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი გადაიანგარიშება მანეთობით გადასახადის გაანგარიშების თარიღისათვის მოქმედი სსრ კავშირის სახბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით.

მუხლი 3. არდასაბეგრი შემოსავალი

1. დასაბეგრ შემოსავალში არ შედის:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის და სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის ხაზით მიღებული დახმარება, დროებითი შრომისუუნარობის დახმარების (მათ შორის ავადმყოფი ბავშვის მოვლის დახმარების) გარდა, აგრეთვე დახმარება და ფულადი და ნატურალური ფორმის შემწეობის სხვა სახეობანი, რომელსაც მოქალაქეებს უწევენ საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის, საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის, საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდის, საბჭოთა კავშირის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდების, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის, ეკოლოგიური ფონდების საკავშირო, რესპუბლიკურ, რეგიონულ და ადგილობრივ განყოფილებებში, აგრეთვე გადაერიცხებათ კულტურის, სახალხო განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად ფინანსდება ბიუჯეტიდან;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მიზნებისათვის გაწეული შენატანის თანხა, რომელსაც მოქალაქენი იხდიან საგადასახადო ორგანოების მიერ დასაბეგრი შემოსავლიდან, არა უმეტეს შემოსავლის თანხის ოდენობისა, რომელიც გაითვალისწინება შესაბამისი კალენდარული წლისათვის დაბეგვრისას.

ი) ხელფასის თანხები და სხვა თანხები უცხოეთის ვალუტით, რომელსაც მოქალაქენი იღებენ საბჭოთა სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან საზღვარგარეთ სამუშაოდ მივლინებასთან დაკავშირებით;

კ) მოქალაქეთათვის საკუთრების უფლებით კუთვნილი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები, გასაყიდად წარმოებული პროდუქციისა და სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის გარდა;

ლ) შემოსავალი, რომელსაც მოქალაქენი იღებენ პირადი დამბარე სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით, მათ შორის, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით პირუტყვის მოზარდეულისა და ფრინველის გამოზრდით;

მ) თანხები, რომლებსაც მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების მემკვიდრენი (უფლებამონაცვლენი) იღებენ მემკვიდრეობის და ნაჩუქრობის შედეგად; საავტორო გასამრჯელოს თანხებს გარდა;

ნ) სსრ კავშირის სახელმწიფო სესხის ობლიგაციებით და ლატარიით მიღებული მოგება;

ო) სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში შეტანილი ანაბრებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების პროცენტები და ფოგება;

პ) მოქალაქეთა მიერ სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევით მიღებული თანხა;

ჟ) რაციონალიზატორული წინადადებისათვის მიღებული გასამრჯელოს თანხა;

რ) საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან წელიწადში 200 მანეთამდე (ჩათვლით) ოდენობით მიღებული საჩუქრების (ნივთ-პრემიების) ღირებულების თანხა, აგრეთვე საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსებსა და შეჯიბრებებში მიღებული ფულადი პრიზების ღირებულების თანხა;

ს) სტიქიური უბედურების, სხვა საგანგებო გარემოებების გამო მიღებული, აგრეთვე ისეთ შემთხვევებში მიღებული მატერიალური დახმარების თანხა, როდესაც ასეთ დახმარებას უწევენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, გაცემული თანხის ოდენობის მიუხედავად; მატერიალური დახმარება სხვა შემთხვევებში, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემთხვევების გარდა, — წელიწადში 500 მანეთამდე (ჩათვლით) ფარგლებში;

ტ) დივიდენდები, რომლებიც საწარმოს აქციებზეა მიღებული და ამავე საწარმოს აქციების შეძენას მოხმარდა.

1. დასაბეგრ შემოსავალს აკლდება:

ა) თანხა, რომელიც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე გადაირიცხება საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გადასახდელი მათი კუთვნილი შემოსავლიდან სბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სბავშვო ფონდის, საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის, საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდის, საბჭოთა კავშირის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის, ეკოლოგიური ფონდების საკავშირო, რესპუბლიკურ, რეგიონულ და ადგილობრივ განყოფილებებში, აგრეთვე გადაერიცხებათ კულტურის, სახალხო განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად ფინანსდება ბიუჯეტიდან;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მიზნებისათვის გაწეული შენატანის თანხა, რომელსაც მოქალაქენი იხდიან საგადასახადო ორგანოების მიერ დასაბეგრი შემოსავლიდან, არა უმეტეს შემოსავლის თანხის ოდენობისა, რომელიც გაითვალისწინება შესაბამისი კალენდარული წლისათვის დაბეგვრისას.

1. გადასახადის გადახდისაგან მთლიანად თავისუფლდებიან:

ა) მუშები, მოსამსახურეები და დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებული მოქალაქენი, რომლებიც იღებენ ძირითად სამუშაო (სამსახურებრივ, სასწავლო) ადგილზე დასაბეგრ ხელფასსა და სხვა სახეობის ფულად გასამრჯელოს არა უმეტეს 100 მანეთისა თვეში;

ბ) მოქალაქენი — მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა, გამოგონებათა, აღმოჩენათა და სამრეწველო ნიმუშთა შექმნის, გამოცემის, შესრულების ან სხვაგვარი გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს თანხებიდან, რომლებიც საშუალოდ თვეში არ აღემატება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის დასაბეგრ ოდენობას, თუ ამ მოქალაქეებს არა აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი;

გ) მოქალაქენი — ყველა სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის, მათ შორის შრომითი ან გლეხთა მეურნეობისაგან მიღებული შემოსავლის მახედვით, რომელიც საშუალოდ თვეში არ აღემატება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის დასაბეგრ ოდენობას, თუ ამ მოქალაქეებს არა აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი;

დ) გლეხთა მეურნეობების წევრები ორი წლის მანძილზე, გლეხთა მეურნეობის შექმნის წლიდან დაწყებული, — ამ მეურნეობისაგან მიღებული შემოსავლის მიხედვით;

ე) ყველა მოქალაქე — ამ კანონის 24-ე მუხლში აღნიშნული შემოსავლის მიხედვით, რომელიც წელიწადში 300 მანეთს არ აღემატება;

ვ) კოლმეურნეობის წევრები — იმ კოლმეურნეობებში მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავლის მიხედვით, რომლის წევრებიც არიან ისინი;

ზ) ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი და სასწავლო ან შესამოწმებელ შეკრებაზე გაწვეული სამხედრო ვალდებულნი — ფულადი კმაყოფის, დღიურისა და სხვა თანხების მიხედვით, რომლებსაც იღებენ სამსახურის ადგილზე ან სასწავლო თუ შესამოწმებელ შეკრებებზე ყოფნის დროისათვის;

თ) საბჭოთა კავშირის გმირები, სამივე ხარისხის დიდების ორდენით დაჯილდოებული პირნი, დიდი სამამულო ომის ინვალიდები ან იმ სამხედრომოსამსახურეთაგანი ინვალიდები, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის თუ სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად, პარტიზანად ნამყოფთაგან ინვალიდები, აგრეთვე სხვა ინვალიდები, რომლებიც საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ გათანაბრებული არიან აღნიშნული კატეგორიების სამხედრო მოსამსახურეებთან, — მიღებული მთელი შემოსავლის მიხედვით;

ი) სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის, სსრ კავშირის დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების მონაწილე სამხედროსამოსამსახურეთაგანნი, რომლებიც მსახურობდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ ჯარის ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, და პარტიზანებად ნამყოფნი — მთელი მიღებული შემოსავლის მიხედვით;

კ) ინვალიდები შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსთა და რიგითთა შემადგენლობის პირთაგან, რომლებიც დაინვალიდდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად; — მთელი მიღებული შემოსავლის მიხედვით;

ლ) ბავშვობიდან ინვალიდები, აგრეთვე მხედველობის მხრივ I და II ჯგუფის ინვალიდები — მთელი მიღებული შემოსავლის მიხედვით;

მ) გმირი დედები — მთელი მიღებული შემოსავლის მიხედვით;

ნ) მოქალაქენი, რომლებიც ქალაქ ლენინგრადში მუშაობდნენ მისი ბლოკადის დროს დიდი სამამულო ომის წლებში 1941 წლის 8 სექტემბრის 1944 წლის 27 იანვრამდე, — მთელი მიღებული შემოსავლის მიხედვით;

ო) 60 წელს მიღწეული მამაკაცები და 55 წელს მიღწეული ქალები — ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის მიხედვით, თუ ამ მოქალაქეთა მეურნეობანი გათავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

2. გადასახადის თანხა უმცირდებათ:

ა) I და II ჯგუფის ინვალიდებს, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულთა გარდა, — მთელი მიღებული შემოსავლის 50 პროცენტზე;

ბ) ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითთა და უფროსთა შემადგენლობის პირებს — ფულადი კმაყოფის თანხაზე იმ წესითა და ოდენობით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო;

გ) იმ სამხედრო მოსამსახურეთა შობლებსა და ცოლებს, რომლებიც დაიღუპნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად,— მთელი მიღებული შემოსავლის 50 პროცენტზე;

დ) სამხედრო მოსამსახურეებს და სასწავლო და შესამოწმებელ შეკრებაზე გაწვეულ სამხედრო ვალდებულებს, რომლებიც სამსახურს გადიოდნენ ავღანეთის რესპუბლიკაში დროებით მყოფი საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის შემადგენლობაში, — მიღებული ხელფასის, ფულადი კმაყოფისა და მათთან გათანაბრებული შემოსავლის 50 პროცენტზე;

ე) მუშებს, მოსამსახურეებსა და დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეებს, რომლებსაც სარჩენი ჰყავთ სამი და მეტი კაცი, — ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიღებული შემოსავლის 30 პროცენტზე;

ვ) ერთ-ერთ მშობელს, რომელიც ზრდის მასთან ერთად მცხოვრებ ბავშვობიდან ინვალიდს, რომელსაც მუდმივი მოვლა-პატრონობა სჭირდება, — მთელი მიღებული შემოსავლის 30 პროცენტზე.

3) ამ კანონის მე-16 მუხლში აღნიშნულ გადამხდელს (უფლებამონაცვლეთა და მემკვიდრეთა გარდა), რომლებსაც სარჩენი ჰყავთ სამი და მეტი კაცი, — მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა, აღმოჩენათა, გამოგონებათა და სამრეწველო ნიმუშთა შექმნის, გამოცემის, შესრულების ან სხვაგვარი გამოყენებისათვის გასამრჯელოს თანხის 30 პროცენტზე, თუ ავტორებს არა აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი;

ზ) ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მომდევარ მოქალაქეებს, მათ შორის შრომითი და გლეხთა მეურნეობების წევრებს, რომლებსაც სარჩენი ჰყავთ სამი და მეტი კაცი, — ამ საქმიანობის შემოსავლის 30 პროცენტზე, თუ არა აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი;

თ) მარტოხელა დედებს, რომლებსაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის ორი და მეტი შვილი, მთელი მიღებული შემოსავლის 30 პროცენტზე;

ი) ქვრივ ქალებსა და მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის ორი და მეტი შვილი და არ იღებენ პენსიას მარჩენალის დაკარგვის გამო, — მთელი მიღებული შემოსავლის 30 პროცენტზე;

კ) ერთ-ერთ მშობელს, რომელიც ზრდის მასთან ერთად მცხოვრებ ბავშვობიდან ინვალიდს, რომელსაც მუდმივი მოვლა-პატრონობა სჭირდება, — მთელი მიღებული შემოსავლის 30 პროცენტზე.

3. თუ მოქალაქეს აქვს გადასახადის შეღავათის უფლება რამდენიმე საფუძვლის მიხედვით, ენიჭება მათგან ერთი, ყველაზე დიდი შეღავათი.

4. სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ, სასოფლო და სადაბო სახალხო დეპუტატთა საბჭოებს უფლება აქვთ მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით გაათავისუფლონ ცალკეული გადამხდელნი საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან, აგრეთვე შეუმცირონ ცალკეულ გადამხდელებს გადასახადის ოდენობა.

5. კანონის ამ მუხლში ჩამოთვლილ შეღავათებზე მოქალაქეთა უფლებას დასტურებენ დოკუმენტები, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო მის მიერ დადგენილი წესით.

მოქალაქეთა შეღავათების უფლება წარმოიშობა შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის მომენტიდან.

მუხლი 5. ორმაგი დაბეგვრის აღმოფხვრა

შემოსავალი, რომელსაც საზღვარგარეთ იღებენ სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირნი, შედის სსრ კავშირში დასაბეგრ შემოსავალში.

საშემოსავლო გადასახადის თანხა, რომელიც უცხოეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესაბამისად გადაიხადეს საზღვარგარეთ სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირებმა — სსრ კავშირში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებმა, ჩაეთვლებათ მათ სსრ კავშირში საშემოსავლო გადასახადის გასტუმრებისას.

ამასთან საზღვარგარეთ გადახდილი ჩასათვლელი გადასახადის თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს სსრ კავშირში გასასტუმრებელი გადასახადის თანხას.

მუხლი 6. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია დაბეგვრის საბჭოთა კანონმდებლობისაგან განსხვავებულ წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

თავი II

მოქალაქეთა მიერ შრომითი მოვალეობების შესრულებისათვის მიღებული გასამრჯელოსა და მასთან გათანაბრებული შემოსავლის თანხების დაბეგვრა

მუხლი 7. გადასახადის გადამხდელთა კატეგორიები და დაბეგვრის ობიექტები

კანონის ამ თავის დებულებათა შესაბამისად გადასახადს იხდიან:

ა) მუშა-მოსამსახურენი — ხელფასის, პრემიებისა და მათ მიერ შრომითი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა გასამრჯელოსა და გადასახდელების თანხებზე, აგრეთვე შრომითი კოლექტივების აქციებიდან დივიდენდების სახით მიღებულ თანხებსა და სხვა შემოსავალზე, რომელსაც იღებენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მოგების (შემოსავლის) განაწილების შედეგად;

ბ) დაბეგვრის მხრივ მუშა-მოსამსახურეებთან გათანაბრებულ კატეგორიათა გადამხდელნი:

საწარმოო კოოპერატივების (კოლმეურნეობების გარდა) წევრები და ამ კოოპერატივებში შრომითი ხელშეკრულებებით მომუშავე პირნი, — შემოსავალზე, რომელსაც უხდიან ეს კოოპერატივები;

მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე საბჭოთა და უცხოური ორგანიზაციების, ფირმებისა და მმართველობის ორგანოების მონაწილეობით შექმნილ ერთობლივ საწარმოებში, საერთაშორისო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში, უცხოეთის ფირმებში, ბანკებსა და მათს წარმომადგენლობებში, — ხელფასის, პრემიებისა და სხვა გასამრჯელოსა და გადასახდელების თანხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ შრომითს მოვალეობათა შესრულებასთან;

ოფიცერთა შემადგენლობის პირნი, პრაპორშჩიკები, მიჩმანები და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი — ფულადი კმაყოფის თანხებზე;

ადვოკატები — იმ გასამრჯელოს თანხებზე, რომელსაც იურიდიულ კონსულტაციებში მუშაობისათვის იღებენ;

გ) მოქალაქენი, რომლებიც წინათ მუშაობდნენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, — თანხებზე, რომლებსაც ამ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისაგან იღებენ მათი მოგების (შემოსავლის), განაწილების შედეგად.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

პირველი პირველთა შორის

კვლავ გაზაფხული მოვიდა კახეთის მაღლიან მიწაზე, კვლავ ატირდა ვაზი. უკვე ორმოცდამეხუთეჯერ გადიან ზვრებში ძმები გიორგი, ზაქარია და ვასილი მოსულიშვილები და ვაზთან დახრილთ ყოველთვის აგონდებათ მეოთხე ძმა ფორე, რომელმაც, შთამომავლობით მევენახემ და მეომარმა, იტალიის შორეულ პატარა სოფელ ბელჯორატში უთანასწორო ბრძოლა გაუმართა ფაშისტებს, შემდეგ კი, ამხანაგების გადასარჩენად, მათ მეთაურად დასახელა თავი, მაგრამ მტერს არ დანებდა....

ეს გმირი მაშინ 25 წლისა იყო. რას ფიქრობდა იმ წუთში, როცა გადაწყვიტა მარადიულობაში გადადგა ნაბიჯი? ამბობენ, ქცევის რაღაც ქმამა ადამიანს დედის მუცლიდან დაჰყვებაო, იგი, ეს სქემა, თაობიდან თაობას გადაეცემა და სულ უფრო მყარი ხდებაო. თუ ასეა მაშინ სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის მკვიდრს, 25 წლის ფორე მოსულიშვილს გაუმეორებია ის სქემელი, რომელიც არაერთხელ ჩაუდენიათ მის წინაპრებს თავიანთი სამშობლოს დრამატიზმით სავსე ისტორიაში. და, სადაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი — შინ თუ უცხო მხარეში, მემკვიდრეობით მიღებული კეთილშობილებისა და გმირობის გენები არ ღალატობდათ და უცვლელად სჩადიოდნენ იმას, რაც უნდა ჩაედინათ თავიანთი გამმზრდელი ხალხის საკეთილდღეოდ.

— „ძნელი პარტიზანული ბრძოლების დროს ეს უდრეკი, მამაცი მებრძოლი გამოირჩეოდა თავისი უშიშროებითა და თავდადებით, რაც ყოველნაირ ქებას იმსახურებს. პირველმა პირველთა შორის, პატიოსანმა პატიოსანთა შორის, თავისი ცხოვრების ბოლო წლებშიც კი პარტიზანული გმირობის ჩინებული ნიმუში გვიჩვენა. იგი ბოლომდე თავისი სიტყვის ერთგული დარჩა—ცოცხალი არ დანებდა მტერს. ფორე მოსულიშვილმა სიცოცხლე შესწირა ჩვენს საერთო საქმეს — გამარჯვებას. მისი უკანასკნელი შეძახილი იყო „გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს პარტიზანებს!“ — ასე წერდა გმირზე 1945 წლის აპრილში ერალდო გასტონე. იტალიელებმა, მისმა თანამებრძოლებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ფორე მოსულიშვილს ღირსეული ადგილი დაეკავებინა ფაშიზმთან ბრძოლის ისტორიაში. მას მიენიჭა რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“, გამოცხადდა „იტალიის ეროვნულ გმირად.

სამწუხაროდ, გმირობიდან მხოლოდ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ შეიტყვეს ეს სამშობლოში, ქართველი ჟურნალისტების ვახტანგ ესვანჯიას და ედუარდ სიხარულიძის წყალობით.

— ფორეს დაღუპვის ამბავი 1969 წელს შევიტყვეთ, — თქვა მოსულიშვილის ოჯახის უფროსმა რძალმა ელიკო მახარაშვილმა,— სწორედ მაშინ გადავუხადეთ ქელეხი, ორმოცი და წლისთავი, როგორც ეს მიღებულია.

მთელი ოცი წლის განმავლობაში ცდილობდა ვახტანგ ესვანჯია მიეღწია გმირის სათანადო აღიარებისათვის. მან შეაგროვა მასალები მის შესახებ, ახლოს გაიცნო ყველა მისი მეგობარი და თანამებრძოლი. და აი, ფაშიზმზე გამარჯვების 45 წლისთავის წინ სსრ კავშირის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება ფორე მოსულიშვილისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ (სიკვდილის შემდეგ).

წლევანდელი 9 მაისი ქვემამაჩხაანელებმა საგანგებოდ აღნიშნეს, გამარჯვების დღესასწაულზე ჩამოვიდნენ იტალიის წინააღმდეგობის მონაწილეები — გმირის თანამებრძოლების დიდი ჯგუფი, აგრეთვე მისი მეგობრების ნათესავები და ახლობლები. აქ იყო პარტიზანთა ლეგენდარული გენერალი კაპიტანი ბრუნო — ეს არის ალბინო კალეტი, 83 წლის კაცი, რომელმაც მხედველობა დაკარგა, დილით ჩამოფრინდა კიევიდან, რათა მონაწილეობა მიეღო თავისი ქართველი თანამოკალეს სამაგიერო-ულო ზეიმში. და ისევე როგორც 45 წლის წინათ, იტალიელები მიესალმნენ მას „ჩაო“, კაპიტან ბრუნო!“.

ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ გივი გუმბარიძე, ნოდარ ჭითანავა, ვაჟა გურგენიძე, ტარიელ ლორთქიფანიძე, ინტელიგენციის და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სოფლის ცენტრში გაიმართა მიტინგი. შეკრებილთ გამარჯვების დღესასწაული მიულოცა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ. სსრ კავშირის პრეზიდენტის დავალებით მან გმირის ძმეს გადასცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო. ძმებმა სათუთად ჩაიბარეს იგი ნაჯიფარ ხელში, გაისმა მადლიერების სიტყვები ყველას მიმართ, ვინც გულთან ახლოს მიიტანა დაღუპული ფორეს ბედი.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი ვახტანგ ესვანჯია, იტალიელი სტუმრები ჯანი დავერიო, კაპიტანი ბრუნო, ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ჟუჟუნა ჭაბაშვილი, პოეტი ვახტანგ გორგანელი და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს გმირზე, პატივი მიაგეს ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურებაში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკეთილდღეოდ.

სტუმრებმა დაათვალიერეს ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი, გაეცნენ ექსპონატებს, რომლებიც საერთო ძალით შეაგროვეს გმირის თანამემამულეებმა და მისმა იტალიელმა მეგობრებმა.

(საქინფორმი).



სურათზე: ჯილდოს გადაცემისას. — ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პრემიერა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“

დრო გამოაჩენს კაცს — ეს გამოთქმა ყველაზე უკეთ შეეფერება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას. რაც უფრო მეტი დრო გადის მისი უდროო გარდაცვალებიდან, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება მწერლის დიდი ნიჭი. თავის ქმნილებათა გენიალურობამდე მარტივი სიუჟეტებით მან დიდ, ზოგადსაკაცობრიო ღელვადობას მიაღწია. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა, როცა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები კვლავ შეხვდა გიგა ლორთქიფანიძის რეჟისორულ კრედოს, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გადაღებული მხატვრული ფილმი „თეთრი ბაირაღები“ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების ეკრანიზაციის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი გახდა.

9 მაისს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მივიდნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გუმბარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითანავა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ლეკიშვილი, ისინი დაესწრნენ აქ გამართულ ფილმის პრემიერას, მონაწილეობა მიიღეს ცნობილი რეჟისორის ახალი კინოლენტის განხილვაში.

მაისის დამლევს ფილმი რეპუბლიკის ეკრანებზე გამოვა.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ

(გაგრძელება)

მუხლი 8. გადასახადის განაკვეთები

1. ამ კანონის მე-7 მუხლში ჩამოთვლილ შემოსავალზე გადასახადის გადახდევინება წარმოებს შემდეგი ოდენობით:

თვიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა	თვიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
1		2	
101 მან. 0 მან. 29 კაპ.		126 მან. 7 მან. 54 კაპ.	
102 მან. 0 მან. 58 კაპ.		127 მან. 7 მან. 83 კაპ.	
103 მან. 0 მან. 87 კაპ.		128 მან. 8 მან. 12 კაპ.	
104 მან. 1 მან. 16 კაპ.		129 მან. 8 მან. 41 კაპ.	
105 მან. 1 მან. 45 კაპ.		130 მან. 8 მან. 70 კაპ.	
106 მან. 1 მან. 74 კაპ.		131 მან. 9 მან. 00 კაპ.	
107 მან. 2 მან. 03 კაპ.		132 მან. 9 მან. 30 კაპ.	
108 მან. 2 მან. 32 კაპ.		133 მან. 9 მან. 60 კაპ.	
109 მან. 2 მან 61 კაპ.		134 მან. 9 მან. 90 კაპ.	
110 მან. 2 მან. 90 კაპ.		135 მან. 10 მან. 20 კაპ.	
111 მან. 3 მან. 19 კაპ.		136 მან. 10 მან. 50 კაპ.	
112 მან. 3 მან. 48 კაპ.		137 მან. 10 მან. 90 კაპ.	
113 მან. 3 მან. 77 კაპ.		138 მან. 11 მან. 10 კაპ.	
114 მან. 4 მან. 06 კაპ.		139 მან. 11 მან. 40 კაპ.	
115 მან. 4 მან. 35 კაპ.		140 მან. 11 მან. 70 კაპ.	
116 მან. 4 მან. 64 კაპ.		141 მან. 12 მან. 00 კაპ.	
117 მან. 4 მან. 93 კაპ.		142 მან. 12 მან. 30 კაპ.	
118 მან. 5 მან. 22 კაპ.		143 მან. 12 მან. 60 კაპ.	
119 მან. 5 მან. 51 კაპ.		144 მან. 12 მან. 90 კაპ.	
120 მან. 5 მან. 80 კაპ.		145 მან. 13 მან. 20 კაპ.	
121 მან. 6 მან. 09 კაპ.		146 მან. 13 მან. 50 კაპ.	
122 მან. 6 მან. 38 კაპ.		147 მან. 13 მან. 80 კაპ.	
123 მან. 6 მან. 67 კაპ.		148 მან. 14 მან. 10 კაპ.	
124 მან. 6 მან. 96 კაპ.		149 მან. 14 მან.40 კაპ.	
125 მან. 7 მან. 25 კაპ.		150 მან. 14 მან. 70 კაპ.	
151-დან 700 მანეთამდე	14 მან. 70 კაპ. პლუს იმ თანხის 13 პროცენტი, რომელიც აღემატება 150 მანეთს.		
701-დან 900 მანეთამდე	86 მან. 20 კაპ. პლუს იმ თანხის 15 პროცენტი, რომელიც აღემატება 700 მანეთს.		
901-დან 1100 მანეთამდე	116 მან. 20 კაპ. პლუს იმ თანხის 20 პროცენტი, რომელიც აღემატება 900 მანეთს		
1101-დან 1300 მანეთამდე	156 მან. 20 კაპ. პლუს იმ თანხის 30 პროცენტი, რომელიც აღემატება 1100 მანეთს		
1301-დან 1500 მანეთამდე	216მან. 20 კაპ. პლუს იმ თანხის 40 პროცენტი, რომელიც აღემატება 1300 მანეთს.		
1501-დან 3000 მანეთამდე	296 მან. 20 კაპ. პლუს იმ თანხის 50 პროცენტი, რომელიც აღემატება 1500 მანეთს.		
3001-დან და მეტი	1046 მან. 20 კაპ. პლუს იმ თანხის 60 პროცენტი, რომელიც აღემატება 3000 მანეთს.		

მუხლი 9. თანხები, რომლებიც არ შედის დასაბეგრი თვიური შემოსავლის შემადგენლობაში

დასაბეგრი თვიური შემოსავლის შემადგენლობაში არ შედის:

ა) გასასვლელი შემწეობა, რომელიც გაიცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დათხოვნისას;

ბ) საკომპენსაციო გადასახდელები სსრ კავშირის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში, დათხოვნისას გამოუყენებელი შვებულების გამო კომპენსაციის გამოკლებით.

გ) თანხები, რომლებიც გაიცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფასოდ მიცემული საცხოვრებელი სადგომისა და კომუნალური მომსახურების ნაცვლად;

დ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ნატურალური კმაყოფის ღირებულება, აგრეთვე ამ კმაყოფის ნაცვლად გაცემული თანხები.

მუხლი 10. მძიმე კლიმატური პირობების ადგილებში მუშაობისათვის გადასახდელთა დაბეგვრის ოდენობა

უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში, მათთან გათანაბრებულ ადგილებსა და მძიმე კლიმატური პირობების მქონე სხვა ადგილებში მუშაობისათვის სსრ კავშირის კანონმდებლობით დაწესებული ხელფასზე დასარიცხი თანხებიდან, კოეფიციენტებიდან (რაიონული, მაღალი მთის, უდაბნო და უწყლო რაიონებში მუშაობისათვის) და აღნიშნულ ადგილებში მუშაობის სტაჟისათვის განკუთვნილი დანამატის თანხებიდან გადასახადი გადახდევინებულ იქნება 13 პროცენტი განაკვეთის მიხედვით.

მუხლი 11. თვიური გამომუშავების განსაზღვრის წესი სეზონის ან სხვა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მუშაობის შედეგების მიხედვით შრომის ანაზღაურებისას

იმ შემთხვევებში, როდესაც შრომის ანაზღაურების პირობების შესაბამისად თვიური ხელფასის გადახდა წარმოებს არასრულად ან საერთოდ არ წარმოებს, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება სეზონის ან უფრო ხანგრძლივი პერიოდის დამთავრებისას, საბოლოო ანგარიშსწორების დროს მიღებული გამომუშავების თანხა დაბეგვრის მიზნით იყოფა იმ თვეების რიცხვზე, რომლებში მუშაობისთვისაც წარმოებს შრომის ანაზღაურება.

სეზონურობასიათიანი სამუშაოების დარგებში ასეთივე წესით ნაწილდება დაბეგვრის მიზნებისათვის პრემიები, რომლებიც სეზონის ან წლის დამლევს მიიღება.

მუხლი 12. ხაზარმოებისა და ორგანიზაციების ლიკვიდაციის დროს დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრის წესი

სალიკვიდაციო საწარმო-ორგანიზაციებისაგან მოქალაქეთა მიერ მიღებული მთელი შემოსავლის თანხა, მათ შორის, ასევე საწარმო-ორგანიზაციათა ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით მოქალაქეებისათვის დარიცხული შემოსავლის თანხა იბეგრება გადასახადით იმ თვის სხვა შემოსავალთან (გამომუშავებასთან) ერთობლიობით, რომელშიც ეს შემოსავალი ეძლევა, თვეების მიხედვით გაუნაწილებლად.

მუხლი 13. გადასახადის დაკავებისა და ბიუჯეტში გადარიცხვის წესი

1. კანონის ამ თავში გათვალისწინებული გამომუშავებისა და ფულადი და ნატურალური ფორმის სხვა შემოსავლის საშემოსავლო გადასახადს დარიცხავენ და იკავებენ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ამ გადასახდელებს გასცემენ.

2. არაძირითად სამუშაო (სამსახურებრივი, სასწავლო) ადგილის მიხედვით შეთავსებით მუშაობისათვის მიღებული გამომუშავებისა და სხვა შემოსავლის გადასახადის დაკავება ხდება ამ კანონის III თავში გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით.

არაძირითადი სამუშაო (სამსახურებრივი, სასწავლო) ადგილის მიხედვით შეთავსებით მუშაობისათვის გაცემული მთელი თანხებისა და ამ გადასახდელებიდან დაკავებული გადასახადის თანხების შესახებ ასეთი გადასახდელების განმახორციელებელი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან აცნობონ შემოსავლის მიმღების ძირითად სამუშაო (სამსახურებრივ, სასწავლო) ადგილზე არა უგვიანეს გადახდის მომდევნო თვისა. ასეთი შეტყობინების მიღებისთანავე ძირითადი სამუშაო (სამსახურებრივი, სასწავლო) ადგილის ბუღალტერია ვალდებულია გადაიანგარიშოს შესაბამისი თვის გადასახადი ძირითად სამუშაო (სამსახურებრივ, სასწავლო) ადგილზე და შეთავსებით მუშაობის შედეგად მიღებული საერთო ერთობლივი გამომუშავების შესაბამისად ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით.

გადაანგარიშების შედეგების კვალობაზე მოქალაქეს გადახდება დამატებით გაანგარიშებული გადასახადის თანხა ან დაუბრუნდება ზედმეტად დაკავებული თანხა.

3. საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ბანკის დაწესებულებებში მოქალაქეთათვის კუთვნილი თანხების გადასახდელად სახსრების მიღებისთანავე გადარიცხავენ ბიუჯეტში დარიცხული გადასახადის თანხას.

ორგანიზაციებს, რომლებიც ხელფასს იხდიან პროდუქციის რეალიზაციისა და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგებიდან, გადასახადის გაანგარიშებული თანხები შეაქვთ ბანკის დაწესებულებაში ხელფასის გაცემის მეორე დღეს.

4. აკრძალულია მოქალაქეთა გამომუშავების გადასახადის გასტუმრება საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე.

თავი IV

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის, გამოცემის, შესრულების ან სხვაგვარი გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს, აგრეთვე აღმოჩენათა, გამოგონებათა და სამრეწველო ნიმუშთა ავტორების გასამრჯელოს თანხების დაბეგვრა

მუხლი 16. გადასახადის გადამხდელთა კატეგორიები და დაბეგვრის ობიექტები

კანონს ამ თავით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით გადასახადით იბეგრებიან:

ა) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორები, მათი უფლებამონაცვლენი და მემკვიდრენი, ამ ნაწარმოებთა შექმნის, გამოცემის, შესრულების ან სხვაგვარი გამოყენებისათვის, ან ამ ნაწარმოებთა გამოყენების უფლების მინიჭებისათვის საავტორო გასამრჯელოს თანხების მიხედვით;

ბ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა თარგმანების ავტორები, მათი უფლებამონაცვლენი და მემკვიდრენი — საავტორო გასამრჯელოს თანხების მიხედვით;

გ) აღმოჩენათა, გამოგონებათა და სამრეწველო ნიმუშთა ავტორები, მათი უფლებამონაცვლენი და მემკვიდრენი — გასამრჯელოს თანხების მიხედვით;

დ) მოქალაქენი, რომლებიც ახორციელებენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა რედაქტირებასა და რეცენზირებას, — საავტორო გასამრჯელოს თანხების მიხედვით;

ე) სხვა მოქალაქენი, რომლებიც საავტორო უფლების კანონმდებლობის შესაბამისად იღებენ საავტორო გასამრჯელოს, — საავტორო გასამრჯელოს თანხების მიხედვით.

მუხლი 17. გადასახადის განაკვეთები

1. ამ კანონის მე-16 მუხლში ჩამოთვლილი მოქალაქეებისათვის (მათ შორის იმ ავტორთა მემკვიდრეების ჩათვლით, რომელთა ნაწარმოებები, თარგმანები, აღმოჩენები, გამოგონებანი ან სამრეწველო ნიმუშები პირველად გამოიყენება) გადახდილი გასამრჯელოს თანხებიდან, იმ პირობით, თუ გასამრჯელო გაიცემა დადგენილი განაკვეთების მიხედვით, გადასახადი გადახდის ადგილზე წლის განმავლობაში გადახდევინებულ იქნება შემდეგი ოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
1	2
180 მანეთამდე	შემოსავლის თანხის 1,5 პროც.
181-დან 240 მანეთამდე	2 მან. 70 კაპ. პლუს 180 მანეთზე მეტი თანხის 5,5 პროც.
241-დან 360 მანეთამდე	6 მან. 00 კაპ. პლუს 240 მანეთზე მეტი თანხის 6,0 პროც.
361-დან 480 მანეთამდე	13 მან 20 კაპ. პლუს 360 მანეთზე მეტი თანხის 7,0 პროც.
481-დან 600 მანეთამდე	21 მან. 60 კაპ. პლუს 480 მანეთზე მეტი თანხის 8,0 პროც.
601-დან 840 მანეთამდე	31 მან. 20 კაპ. პლუს 600 მანეთზე მეტი თანხის 10,0 პროც.
841-დან 1200 მანეთამდე	55 მან. 20 კაპ. პლუს 840 მანეთზე მეტი თანხის 12,0 პროც.
1201-დან 8400 მანეთამდე	98 მან. 40 კაპ პლუს 1200 მანეთზე მეტი თანხის 13,0 პროც.
8401-დან 10800 მანეთამდე	1034 მან. 40 კაპ. პლუს 8400 მანეთზე მეტი თანხის 15,0 პროც.
10801-დან 13200 მანეთამდე	1394 მან. 40 კაპ. პლუს 10800 მანეთზე მეტი თანხის 20.0 პროც.
13201-დან 15600 მანეთამდე	1874 მან. 40 კაპ. პლუს 13200 მანეთზე მეტი თანხის 30,0 პროც.
15601-დან 18000 მანეთამდე	2594 მან. 40 კაპ. პლუს 15600 მანეთზე მეტი თანხის 40,0 პროც.
18001-დან 36000 მანეთამდე	3554 მან. 40 კაპ. პლუს 18000 მანეთზე მეტი თანხის 50,0 პროც.
36001 მან და მეტი	12554 მან. 40 კაპ. პლუს 36000 მანეთზე მეტი თანხის 60,0 პროც.

ამავე განაკვეთების მიხედვით გადახდებათ გადასახადი მოქალაქეებს, რომლებიც მათ მიერ შექმნილ ფერწერულ, სკულპტურულ, გრაფიკულ, ხელოვნების სხვა სახეობათა ნაწარმოებებსა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობებს მიჰყიდიან მუზეუმებს, სამხატვრო ფონდის ორგანიზაციებს, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ სპეციალურად დაწესებული გამოფენა-ვაჭრობის მეშვეობით, იმ შემთხვევაში, რომელსაც აღნიშნული ორგანიზაციებისაგან ან გამოფენათა დირექციებისაგან იღებენ.

2. ავტორთა მემკვიდრეებს გამომორჩენით (არაერთგზის) მიცემული გასამრჯელოს თანხებიდან გადასახადი გადახდებათ შემდეგი ოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
500 მანეთამდე	შემოსავლის თანხის 60,0 პროც.
501-დან 100 მანეთამდე	300 მან. პლუს 500 მანეთზე მეტი თანხის 65,0 პროც.
1001-დან 3000 მანეთამდე	625 მან. პლუს 1000 მანეთზე მეტი თანხის 70,0 პროც.
3001-დან 6000 მანეთამდე	2025 მან. პლუს 3000 მანეთზე მეტი თანხის 75,0 პროც.
6001-დან 10000 მანეთამდე	4275 მან. პლუს 6000 მანეთზე მეტი თანხის 80,0 პროც.
10001-დან 15000 მანეთამდე	7475 მან. პლუს 10000 მანეთზე მეტი თანხის 85,0 პროც.
15001 მან. და მეტი	11725 მან. პლუს 15000 მანეთზე მეტი თანხის 90,0 პროც.

გადასახადის თანხა 50 პროცენტით უმცირდებათ 18 წლამდე ასაკის მემკვიდრეებს, 55 წელზე უხნეს ქალებსა და 60 წელზე უხნეს მამაკაცებს.

მუხლი 18. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. კანონის ამ თავში აღნიშნულ მოქალაქეთა შემოსავლის გადასახადი წლის განმავლობაში იანგარიშება და გადახდევინებულ იქნება უშუალოდ შემოსავლის გადახდის ადგილზე ამ კანონის მე-17 მუხლის განაკვეთების მიხედვით. ყოველი მომდევნო გადახდის დროს წარმოებს გადასახადის გადახდის ადგილზე მიმდინარე წელს გაცემულ გადასახდელთა საერთო თანხიდან წლის დამთავრებისას მოქალაქენი (ავტორთა მემკვიდრეების გარდა) ვალდებული არიან არა უგვიანეს 1 მარტისა წარუდგინონ საგადასახადო ორგანოს თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დეკლარაცია გასულ წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის შესახებ. ამასთან, ამ კანონის მე-16 მუხლში აღნიშნული მოქალაქენი, რომლებმაც კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ მიიღეს გასამრჯელო, შემოსავლის დეკლარაციას არ წარადგენენ.

2. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის, გამოცემის, შესრულების ან სხვაგვარი გამოყენების ხელშეკრულებათა ან ორგანიზაციებთან ამ ხელშეკრულების ანგარიშში მთელი გასამრჯელო, რომელიც ამ ხელშეკრულების ანგარიშში გაცემულია ავანსად და საბოლოო ანგარიშსწორებისას, შეჯამდება და განაწილდება დაბეგვრის მიზნით ხელშეკრულების მოქმედების წლების რიცხვზე.

ასეთი ხელშეკრულების არარსებობისას, თუ ნაწარმოების შექმნის ან პირველი გამოცემისათვის გასამრჯელოს თანხა 8.400 მანეთს აღემატება, ეს თანხა გადამხდელის განცხადებისამებრ ნაწილდება სამ წელიწადზე.

ანალოგიური წესი გამოიყენება იმ გასამრჯელოს თანხების მიმართ, რომლებიც აღმოჩენათა, გამოგონებათა და სამრეწველო ნიმუშთა ავტორებმა მიიღეს მათი გამოყენების პირველი წლის განმავლობაში.

3. ამ კანონის მე-16 მუხლში აღნიშნულ მოქალაქეთა (ავტორების მემკვიდრეთა გარდა) შემოსავლიდან წლის მანძილზე გადასახადის საბოლოო თანხას გაწსაზღვრავენ საგადასახადო ორგანები ორი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მიიღებენ დეკლარაციას ფაქტობრივი წლიური შემოსავლისა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ. ასეთი ხარჯების განსაზღვრის წესს აგენტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

გადასახადი იანგარიშება საშუალო-თვიური შემოსავლიდან ამ კანონის მე-8 მუხლის განაკვეთების მიხედვით და მრავლდება 12-ზე, თუ შემომქმედებითი საქმიანობა შემოსავლის ერთადერთი წყაროა, ან წლიური შემოსავლიდან ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის განაკვეთების მიხედვით, თუ იგი არ არის შემოსავლის ერთადერთი წყარო.

შემოსავლის გაცემის ადგილზე წლის განმავლობაში დაკავებული გადასახადის თანხები ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების დროს.

4. ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 თებერვლისა, გასამრჯელოს გადამხდელი საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით წერილობითი ცნობები გასული წლის მანძილზე მოქალაქეებისათვის გადახდილი თანხებით, სადაც უნდა მიუთითონ მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ამ შემოსავლიდან დაკავებული თანხები.

ამ ცნობებს საავტორო გასამრჯელოს გადამხდელი საწარმოები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოები გადაუგზავნიან საგადასახადო ორგანოებს შემოსავლის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა გაითვალისწინონ სწორი და სრული დაბეგვრის მიზნით.

5. საავტორო გასამრჯელოს გადამხდელი საწარმოები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციები ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით წერილობითი ცნობები მათ მიერ მოქალაქეებისათვის გადახდილი თანხების შესახებ. ამ ცნობებს შემოსავლის გადამხდელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოები გადაუგზავნიან საგადასახადო ორგანოებს შემოსავლის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ამ შემოსავლიდან დაკავებული თანხები.

ამ ცნობებს საავტორო გასამრჯელოს გადამხდელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოები თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით წერილობითი ცნობები მათ მიერ მოქალაქეებისათვის გადახდილი თანხების შესახებ. ამ ცნობებს შემოსავლის გადამხდელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა გაითვალისწინონ სწორი და სრული დაბეგვრის მიზნით.

6. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითი საქმიანობის მიმღებივარ მოქალაქეებს, ვალდებულნი არიან ყოველთვიურად წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილსამყოფლის მიხედვით წერილობითი ცნობები მათ მიერ მოქალაქეებისათვის გადახდილი თანხების შესახებ. ამ ცნობებს შემოსავლის გადამხდელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოები გადაუგზავნიან საგადასახადო ორგანოებს შემოსავლის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ინდივიდუალურ შრომითი საქმიანობის მიმღებივარ მოქალაქეებს, ვალდებულნი არიან ყოველთვიურად წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილსამყოფლის მიხედვით წერილობითი ცნობები მათ მიერ მოქალაქეებისათვის გადახდილი თანხების შესახებ. ამ ცნობებს შემოსავლის გადამხდელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. მოქალაქეებს, რომლებმაც დადეს ხელშეკრულება შრომითს მეურნეობაში მათი შრომის გამოყენების შესახებ, საშემოსავლო გადასახადს უკავებს გასამრჯელოს გადახდისას ხელშეკრულების დამდები შრომითი მეურნეობის წევრი. გადასახადის დაკავება ხდება ამ კანონის მე-8 მუხლის განაკვეთების მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ შრომითს მეურნეობაში მომუშავე მოქალაქეებს არა აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი, ან მე-14 მუხლის განაკვეთების მიხედვით, თუ მათ აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი.

ასეთივე წესითა და ოდენობით ხდება გადასახადის დაკავება აღნიშნული მოქალაქეებისა და სხვა პირებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას მისდევენ.

გადასახადის გადარიცხვა ხორციელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული მორიგი გადახდის ვადის დადგომისას.

თავი VI

მოქალაქეთა მიერ გლეხური მეურნეობის გაძღოლით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

მუხლი 22. გადამხდელთა კატეგორიები და დაბეგვრის ობიექტი

კანონის ამ თავში აღნიშნული წესითა და ოდენობით გადახდებათ გადასახადი მოქალაქეს ან მოქალაქეებს, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შრომითს მეურნეობას და ფლობენ ქონებას საერთო წილობრივი საკუთრების საფუძველზე, განისაზღვრება მათი შეთანხმებით, რაც აღინიშნება საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილ დეკლარაციაში შემოსავლის შესახებ.

6. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ფულს უხდიან ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმღებივარ მოქალაქეებს, ვალდებულნი არიან ყოველთვიურად წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილსამყოფლის მიხედვით წერილობითი ცნობები მათ მიერ მოქალაქეებისათვის გადახდილი თანხების შესახებ. ამ ცნობებს შემოსავლის გადამხდელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილსამყოფლის მიხედვით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამ ცნობებს საავტორო გასამრჯელოს გადამხდელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოები თავიანთი ადგილსამყოფლის მიხედვით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ამ შემოსავლიდან დაკავებული თანხები.

ამ ცნობებს საავტორო გასამრჯელოს გადამხდელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოები თავიანთი ადგილსამყოფლის მიხედვით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა გაითვალისწინონ სწორი და სრული დაბეგვრის მიზნით.

7. მოქალაქეებს, რომლებმაც დადეს ხელშეკრულება შრომითს მეურნეობაში მათი შრომის გამოყენების შესახებ, საშემოსავლო გადასახადს უკავებს გასამრჯელოს გადახდისას ხელშეკრულების დამდები შრომითი მეურნეობის წევრი. გადასახადის დაკავება ხდება ამ კანონის მე-8 მუხლის განაკვეთების მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეებს აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი, ან მე-14 მუხლის განაკვეთების მიხედვით, თუ მათ აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი.

ასეთივე წესითა და ოდენობით ხდება გადასახადის დაკავება აღნიშნული მოქალაქეებისა და სხვა პირებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას მისდევენ.

გადასახადის გადარიცხვა ხორციელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული მორიგი გადახდის ვადის დადგომისას.

თავი V

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

მუხლი 19. გადასახადის გადამხდელთა კატეგორიები და დაბეგვრის ობიექტი

1. კანონის ამ თავში გათვალისწინებული წესითა და ოდენობით გადახდებათ გადასახადი მოქალაქეებს, რომლებიც მისდევენ ყველა სახეობის ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, მათ შორის უძღვებიან შრომითს მეურნეობას.

2. დასაბეგრად ითვლება სხვაობა მთლიან შემოსავალსა (ფულადი და ნატურალური ფორმით) და დოკუმენტურად დადასტურებულ ხარჯებს შორის, რომლებიც შემოსავლის მიღებასთან არის დაკავშირებული.

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების შემადგენლობაში შედის მატერიალური დანახარჯები, საამორტიზაციო ანარიცხები ძირითადი საწარმოო ფონდების სრულ აღდგენაზე, იჯარის ქირა, იმ მოქალაქეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები, რომლებმაც დადეს ხელშეკრულება, მათი შრომის ხელშეკრულების შესახებ, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხები, ქონების სავალდებულო დაზღვევის გადასახდელები, ბანკების მოკლევადიანი კრედიტების პროცენტების საფასური, ვადაგადაცილებული და ვადაგადადებული სესხების პროცენტების გარდა, აგრეთვე ძირითადი საწარმოო ფონდების რემონტის ყველა სახეობის ხარჯები.

მუხლი 20. გადასახადის განაკვეთები

ამ კანონის მე-19 მუხლში აღნიშნული შემოსავლიდან გადასახადის გადახდა წარმოებს შემდეგი ოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
3.000 მანეთამდე, თუ საშუალო თვიური შემოსავალი აღემატება ძირითად სამუშაო ადგილზე მუშა-მოსამსახურეთა თვიურ გამომუშავებას, რომელიც გადასახადით არ იბეგრება	იმ გადასახადის თანხის ტოლი ოდენობით, რომელსაც მუშა-მოსამსახურეები იხდიან შესაბამისი რაოდენობის თვეებისათვის ამ კანონის მე-8 მუხლის განაკვეთების მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ არა აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი, ან — ამ კანონის მე-14 მუხლის განაკვეთების მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ აქვთ ძირითადი სამუშაო ადგილი.
3.001-დან 4.000 მანეთამდე	332 მან. 40 კაპ. პლუს 3.000 მანეთზე მეტი თანხის 20,0 პროცენტი
4.001-დან 5.000 მანეთამდე	532 მან. 40 კაპ. პლუს 4.000 მანეთზე მეტი თანხის 30,0 პროცენტი.
5.001-დან 6.000 მანეთამდე	832 მან. 40 კაპ. პლუს 5.000 მანეთზე მეტი თანხის 50,0 პროცენტი
6.001 მან. და მეტი	1332 მან. 40 კაპ. პლუს 6.000 მანეთზე მეტი თანხის 60,0 პროცენტი.

მუხლი 21. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. გადასახადი იანგარიშება ყველა სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით მიღებული საერთო წლიური შემოსავლის მიხედვით.

დაბეგვრას აწარმოებენ საგადასახადო ორგანოები გადამხდელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, თუ საქმიანობა ხორციელდება სხვაგან, მაშინ საქმიანობის განხორციელების ადგილის მიხედვით, ოღონდ გადამხდელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოსათვის შემოსავლისა და გადასახადის ოდენობის სავალდებულო შეტყობინებით.

2. გადასახადის გადახდა წარმოებს შემდეგი წესით:

ა) ყოველ კვარტალში გადამხდელებს შეაქვთ წინა წლის შემოსავლის მიხედვით გამოანგარიშებული გადასახადის წლიური თანხის 25-25 პროცენტი — ხოლო გადამხდელებს, რომლებსაც პირველად იხდევინებენ გადასახადს, — იმ თანხის 25-25 პროცენტი, რომელიც მათ საგადასახადო ორგანოებმა გამოუანგარიშეს მიმდინარე წლის სავარაუდო შემოსავლის მიხედვით.

წლის მანძილზე გადამხდელის შემოსავლის მნიშვნელოვანი გადიდების ან შემცირების შემთხვევაში შეიძლება. განხორციელდეს გადასახადის თანხების გადაანგარიშება გადასახადის გასტუმრების დაუმდგარი ვადების მიხედვით;

ბ) წლის გასვლისას გადასახადის წლიური თანხა იანგარიშება ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის მიხედვით, და სხვაობა ამ თანხასა და წლის მანძილზე გადახდილ თანხას შორის უნდა გადაიბადონ გადამხდელებმა ან დაუბრუნონ გადამხდელებს ამ უკანასკნელ ორ ვადაში, ხოლო შემოსავლის წყაროს არსებობის შეწყვეტისას — 15 დღის ვადაში.

3. ამ კანონის მე-19 მუხლში აღნიშნულ გადამხდელთა დაბეგვრის განხორციელების საფუძველია:

ა) გადამხდელთა დეკლარაციები წლის განმავლობაში ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის შესახებ, რომლებსაც წარადგენენ მომდევნო წლის 15 იანვრისათვის.

წლის განმავლობაში შემოსავლის წყაროს გაჩენისას მოქალაქეებს შეაქვთ დეკლარაცია შემოსავლის წყაროს წარმოშობის დღიდან ერთი თვის გასვლისას 5 დღის ვადაში, და ამ დეკლარაციაში აღნიშნავენ საქმიანობის პირველი თვის მანძილზე ფაქტობრივი შემოსავლის ოდენობას და მიმდინარე წლის დამლევამდე სავარაუდო შემოსავლის ოდენობას.

შემოსავლის წყაროს არსებობის შეწყვეტისას დეკლარაცია შეაქვთ შეწყვეტის დღიდან 5 დღის ვადაში;

ბ) საგადასახადო ორგანოების მიერ მოქალაქეთა საქმიანობის გამოკვლევის მასალები და გადამხდელთა შემოსავლის შესახებ არსებული სხვა ცნობები.

4. გადასახადის გასტუმრება წარმოებს შემდეგ ვადებში: 15 მარტის, 15 მაისის, 15 აგვისტოსა და 15 ნოემბრისათვის.

თავი VI

მოქალაქეთა მიერ გლეხური მეურნეობის გაძღოლით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

**მუხლი 22. გადამხდელთა კატეგორ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ

(დასასრული)

შემოსავლის წყაროს წარმოშობის დღიდან ერთი თვის განვლის მომენტიდან 5 დღის ვადაში და დეკლარაციაში აღნიშნავენ საქმიანობის პირველი თვის მანძილზე მიღებული ფაქტობრივი შემოსავლის ოდენობას და მიმდინარე წლის დამლევამდე მისაღები სავარაუდო შემოსავლის ოდენობას.

შემოსავლის წყაროს არსებობის შეწყვეტისას დეკლარაცია შეტანილ უნდა იქნეს შეწყვეტის დღიდან 5 დღის ვადაში.

ბ) საგადასახადო ორგანოების მიერ მოქალაქეთა საქმიანობის გამოკვლევის მასალები და სხვა არსებული მონაცემები გადამხდელთა შემოსავლის შესახებ.

5. იმ მოქალაქეებისათვის თანხების გადამხდელი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა შემოსავალი გადასახადით იბეგრება კანონის ამ თავის დებულებათა შესაბამისად, ვალდებულნი არიან ყოველწლიურად არაუგვიანეს 15 იანვრისა წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს თავიანთი საგადასამყოფლის მიხედვით წერილობითი ცნობები გაცემული შემოსავლის თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ. ამ ცნობებს შემოსავლის გადამხდელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადგილსამყოფლის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანოები უგზავნიან საგადასახადო ორგანოებს შემოსავლის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა გაითვალისწინონ სწორი და სრული დაბეგვრის მიზნით.

თავი VIII.

უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაბეგვრის თავისებურებანი

მუხლი 26. დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა.

1. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა (რომლებიც შემდეგ „უცხოელ ფიზიკურ პირებად“ იწოდებიან) დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება იგივე წესით, რითაც სსრ კავშირის მოქალაქეთა დასაბეგრი შემოსავალი. უცხოელ ფიზიკურ პირთა დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას მასში შედის აგრეთვე:

ა) სსრ კავშირში ცხოვრებასთან დაკავშირებით მიცემული დანამატების თანხა;

ბ) გადამხდელის შვილთა სკოლაში სწავლების, ოჯახის წევრთა კვების, შვებულებაში მოგზაურობისა და ახალოგიური მიზნებისათვის გაღებული ხარჯების საკომპენსაციოდ გადახდილი თანხა.

2. დასაბეგრი შემოსავლის შემადგენლობაში არ შედის:

ა) უცხოელი ფიზიკური პირის დაშჭირავებლის მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის ფონდებში გადარიცხული თანხები;

ბ) საცხოვრებელი ბინის დაქირავებისა და სამსახურებრივი მიზნებისათვის ავტომობილის შენახვის ხარჯების კომპენსაციის თანხა;

გ) სამგზავრო ხარჯების თანხა.

მუხლი 27. დაბეგვრის ოდენობა.

უცხოელ ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც განიხილებიან სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე და სსრ კავშირის ფარგლებს გარე წყაროებიდან შემოსავლის მიმღებ პირებად, წარადგენენ შემოსავლის დეკლარაციას ამ მუხლით დადგენილი წესით.

უცხოელი ფიზიკური პირნი, რომლებიც დაბეგვრის მიზნით განიხილებიან სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე და ისეთი შემოსავლის მიმღებ პირებად, რომელთა დაბეგვრას არეგულირებს ამ კანონის IV-VII თავები, შემოსავლის დეკლარაციას წარადგენენ შესაბამის თავებში დადგენილი წესით.

2. ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის დეკლარაცია საანგარიშებელ წლის მომდევნო წლის 1 მარტამდე წარედგინება საგადასახადო ორგანოს უცხოელი ფიზიკური პირის საქმიანობის განხორციელების ან ბინადრობის ადგილის მიხედვით.

მომდინარე წელს სავარაუდო შემოსავლის დეკლარაციას სსრ კავშირში ჩამოსვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში წარადგენს უცხოელი ფიზიკური პირი, რომელიც განიხილება სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირად.

კალენდარული წლის განმავლობაში უცხოელი ფიზიკური პირის საქმიანობის შეწყვეტისა და სსრ კავშირიდან გამგზავრებისას ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა გამგზავრებამდე.

3. უცხოელ ფიზიკურ პირთა შემოსავლის საშემოსავლო გადასახადს, რომელიც იბეგრება შემოსავლის დეკლარაციათა საფუძველზე, ანგარიშობს საგადასახადო ორგანო გადამხდელის საქმიანობის განხორციელების ან სსრ კავშირში ბინადრობის ადგილის მიხედვით. გადასახადის გასტუმრების დოკუმენტია საგადამხდელო შეტყობინება, რომელსაც საგადასახადო ორგანო უგზავნის საგადასახადო ორგანოს შემოსავლის მიმღებთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა გაითვალისწინონ სწორი და სრული დაბეგვრის მიზნით.

თავი IX.

იმ შემოსავლის დაბეგვრა, რომელსაც სსრ კავშირში არსებული წყაროებიდან იღებენ სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირნი

მუხლი 29. დაბეგვრის ოდენობა.

სსრ კავშირში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირთა მიერ სსრ კავშირში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლის (ამ კანონის II და III თავებში აღნიშნული შემოსავლის გარდა) გადასახადის დაკავება ხდება შემოსავლის გაცემის წყაროდან 20-პროცენტიანი განაკვეთის მიხედვით. გადასახადის აღნიშნული განაკვეთი გამოიყენება, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს ამ კანონის მე-6 მუხლითა და 28-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დებულებებიდან.

ამ კანონის II და III თავებში აღნიშნული შემოსავლიდან გადასახადის დაკავება ხდება აღნიშნულ თავებში მოყვანილი განაკვეთების მიხედვით.

თავი X.

ამ კანონის დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 30. მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოვალეობანი.

1. ამ კანონის შესაბამისად დასაბეგრი მოქალაქენი ვალდებულნი არიან:

ა) წარუდგინონ ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს შემოსავალ-გასავლის დეკლარაციები სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმების მიხედვით და სხვა საჭირო დოკუმენტები და ცნობები, რომლებიც ადასტურებენ დეკლარაციაში აღნიშნული მონაცემების უტყუარობას, აგრეთვე გაითვალისწინონ დასაბეგრი შემოსავალი და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ბ) აჩვენონ, ხოლო შესაბამის შემთხვევებში წარადგინონ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ გადასახადის შეღავათის უფლებას;

გ) დროულად და სრული ოდენობით გადაიხადონ ბიუჯეტში საგადასახადო ორგანოების მიერ წაყენებული გადასახადის თანხები;

დ) დაუშვან საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირნი შენობებში, რომლებიც გამოიყენება შემოსავლის მისადგომად.

2. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან:

ა) დროულად და სწორად დარიცხონ, დაუკაონ და გადარიცხონ თანხა ბიუჯეტში მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის და სხვა იმ შემოსავლის გადასახადის თანხები, რომლებიც უნდა დაებეგროს გადახდის წყაროს;

ბ) დროულად წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს ცნობები მათ მიერ მოქალაქეებისათვის გადახდილი შემოსავლის შესახებ, რომელიც უნდა დაებეგრონ საგადასახადო ორგანოებს.

3. საგარეო-ეკონომიკურ მორიგებათა დადებისას არ შეიძლება ისეთი დამატებითი საგადასახადო პირობების შეტანა, რომელთა შესაბამისად შემოსავლის გადამხდელი საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები კისრულობენ ვალდებულებას გაიღონ ხარჯები უცხოელ ფიზიკურ პირთა მაგიერ გადასახადის გასასტუმრებლად.

მუხლი 31. არასწორად დაკავებული გადასახადის თანხების დაკავებისა და დაბრუნების წესი

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან და სხვა ყოველთვიურად დასაბეგრი მოქალაქეთა შემოსავლიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ დროულად დაუკავებელი გადასახადის თანხები შეიძლება დაკავებულ იქნეს არაუმეტეს სამი თვისა, ხოლო ზედმეტად დაკავებული გადასახადის თანხების დაბრუნება დაიშვება არა უმეტეს ერთ წლამდე არასწორი დაკავების აღმოჩენამდე.

მოქალაქეებს, რომელთა შემოსავლის დაბეგვრა ხორციელდება გადასახადის გასასტუმრებლად დაგვიანებით წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით ან არასწორად დაბეგრილი გადასახადით, გადასახადი გადახდებათ ან დაუბრუნდებათ არაუმეტეს ორი წინა წლისათვის არასწორი დაკავების აღმოჩენამდე.

გადასახადის თანხები, რომლებიც გადამხდელს ვერ გადახდევინეს იმის გამო, რომ თავს არიდებდა დაბეგვრას, გადახდება თავის არიდების მთელი დროისათვის.

მუხლი 32. მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის ღონისძიებანი

1. გადამხდელებს, რომლებმაც დროულად არ წარადგინეს დასაბეგრი შემოსავლის დეკლარაციები, საგადასახადო ორგანოები უფლებას აძლევენ ეტაპობრივად ამის შესახებ, რომ გაისტუმრონ გადასახადი წინა საანგარიშო პერიოდში გასტუმრებული გადასახადის თანხის 150 პროცენტის ოდენობით ან შემოსავლის შესახებ საგადასახადო ორგანოების განკარგულებაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე პირობითად გაანგარიშებული ოდენობით. დასაბეგრებელი დოკუმენტების წარდგენისა და მათი შემოწმების შემდეგ წარმოეს გადასახადის გადაანგარიშება ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან, კუთვნილი გადასახადი თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

3. ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის დაბეგვრა ხორციელდება ამ ინსტრუქციის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებში მოყვანილ ფორმულებზე დაყრდნობით.

4. დროულად დაუკავებელი, არასრულად დაკავებული ან ბიუჯეტში გადაურიცხავი გადასახადის თანხები, რომლებიც უნდა გადახდომოდა გადახდის წყაროს, გადახდევინებულ იქნება უცილობელი წესით საგადასახადო ორგანოს მიერ იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც უხდიან შემოსავალს მოქალაქეებს.

5. გადასახადის გასტუმრების ვადის გადაცილებისათვის გადახდევინებულ იქნება საურავი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ნარჩენი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 33. საგადასახადო ორგანოების მოქმედების გასაჩივრება

თანამდებობის პირთა მიერ გადასახადის ზღვევინებისას დაშვებული მოქმედების ან განკარგულების გამო საჩივრები წარედგინება იმ ორგანოს, რომელსაც ეს პირნი უშუალოდ ექვემდებარებიან ან რომლის განკარგულებითაც წარმოეს ზღვევინება. საჩივრებს განიხილავენ და მათ გამო გადაწყვეტილებები გამოაქვთ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიმართ არაუგვიანეს 15 დღის ვადისა საჩივრის მიღების მომენტიდან, ხოლო მოქალაქეთა მიმართ — იმ ვადებში, რომლებიც დაწესებულია მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის.

საჩივრების გამო გადაწყვეტილებანი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ერთი თვის ვადაში ზემდგომ საგადასახადო ორგანოსა ან სახალხო სასამართლოში.

საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს გადასახადის ზღვევინებას. საჩივრის განმხილველ ორგანოს უფლება აქვს შეაჩეროს გადასახადის დარჩენილი თანხის გადახდევინება საჩივრის გადაწყვეტამდე.

საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადებასთან დაკავშირებული მოქმედების გასაჩივრება წარმოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 34. ამ კანონის გამოყენების ინსტრუქცია

ამ კანონის გამოყენების ინსტრუქციას გამოსცემს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 23 აპრილი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **დადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ 1990 წლის 1 ივლისიდან, კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების გარდა.

ხელფასი და შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა გადასახდელები, აგრეთვე დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებული შემოსავალი, რომელსაც მოქალაქენი მიიღებენ კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ 1990 წლის 1 ივლისამდე განხორციელებული სამუშაოსა და სხვა საქმიანობისათვის, საშემოსავლო გადასახადით იბეგრება 1990 წლის 1 ივლისამდე მოქმედი წესითა და ოდენობით.

მოქალაქეთა ძოელი სხვა შემოსავალი დაიბეგრება კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით, შემოსავლის მიღების დროის მიუხედავად.

2. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის საკითხთა კომიტეტმა შემოიტანოს 1990 წლის 1 ივლისისათვის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განსახილველად წინადადებანი, რომ შეუსატყვისონ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

1990 წლის 1 ნოემბრამდე დაადგინოს იმ ხარჯების განსაზღვრისა და გათვალისწინების ოდენობა და წესი, რომლებიც დაბეგვრისას დაკავებულ უნდა იქნეს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა, გამოგონებათა, აღმოჩენათა და საპატენტო ნიშუშთა ავტორების გასამრჯელო თანხიდან;

კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით დაადგინოს მოქალაქეთა ძირითადი სამუშაო ადგილის იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის შეტყობინების წესი და პირობები, სადაც მოქალაქენი შეთავსებით მუშაობენ;

1990 წლის 1 ივლისამდე შეუსატყვისოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის კანონს: „სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“.

4. „სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის კანონისათვის სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების შესატყვისობამდე ეს აქტები გამოიყენება იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ კანონს.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1993 წლის 1 იანვრისათვის შეიმუშაოს და განსაზღვრულ დროუდგინოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წინადადებანი, თუ როგორ განხორციელდება შეორე ეტაპი მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადის რეფორმისა, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა პირადი შემოსავლის დაბეგვრის ერთიან პრინციპებზე გადასვლას მათი ერთობლივი წლიური თანხის, შვილების, სარჩენლების შენახვის ხარჯების და სხვა სოციალურად გამართლებული ხარჯების სრული გათვალისწინების საფუძველზე.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ა. ლუკიანოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 23 აპრილი.

თბილისის მეტროპოლიტენი: სადღეისო პრობლემები

თბილისი მეტროპოლიტენის ახალი სადგურების შენებლობა სამართლიანად ითვლება სოციალური მნიშვნელობის საქმედ. ყოველწლიურად ფართოვდება რესპუბლიკის დედაქალაქის საზღვრები, იზრდება მისი მოსახლეობა. მხოლოდ მიწისქვეშა ტრანსპორტს შეუძლია გაართვას თავი მგზავრთა მზარდ ნაკადს, საიმედოდ დაკავშიროს ქალაქის დაშორებული რაიონები. აქედან თბილისში შენდება შვიდი ახალი სადგური. მათი ბაზები გავა ორი მიმართულებით — საბურთალოსა და ვაზისუბანში. გარდა ამისა „მარჯანიშვილის“ სადგურთან შენდება კიდევ ერთი გასასვლელი, რომელიც ერთმანეთს დაუკავშირებს კამოსა და მარჯანიშვილის ქუჩებს. „ახმეტელის თეატრის“ სადგურის ქვეშ კი ნამდვილი მიწისქვეშა ლაბირინთი შეიქმნება. იგი სადგურის ვესტიბიულს ერთბაშად რამდენიმე მახლობელ ქუჩას დაუკავშირებს.

მეტროპოლიტენის ობიექტების შენებლობის მიმდინარეობასთან დაკავშირებული პრობლემები განხილეს „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოში გამართულ თათბირზე. თათბირს უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ალექსანდრე პავშენცევი.

აღინიშნა, რომ მართალია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ უბნებზე შესრულდა სამუშაოთა დასახული მოცულობა, მაგრამ აპრილში ვითარება გაუარესდა. თავს იჩენს შეფერხებები საშენი მასალების მიწოდებაში, მათი უკმარისობა. თანაც, ეს სხვაობა პირდაპირ დღითი დღე იზრდება. ნაწილობრივ ასეთი სიტუაცია აიხსნება სატვირთო, კერძოდ, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობასთან დაკავშირებული სიძნელეებით. ამიტომ სხვადასხვა უწყებამ, რომლებიც ერთ საერთო საქმეს აკეთებენ, უფრო მეტი ურთიერთმოქმედება უნდა გამოიჩინონ, მეტრომშენებლები კი საქმეს არ შეაფერხებენ. კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მაისში შეასრულოს თვის გეგმა, ჩამორჩენა კი ივნისში აინაზღაუროს.

სხდომაზე დეტალურად გააანალიზეს სოციალური მნიშვნელობის საკითხები. სამმართველოში მწვავედ დგას ბინების უზრუნველყოფის პრობლემა. რიგშია 1200 კაცი, ანუ ყოველი მესამე მეტრომშენებელი. ამიტომ გადწყვიტეს აქ დაჩქარონ საბინაო შენებლობა. დაზოგილი სახსრების ხარჯზე დაიწყო ოთხი 9-სართულიანი სახლის შენებლობა. გარდა ამისა, სახლებზე კიდევ ერთი სართულის დაშენება საშუალებას მისცემთ დამატებით ჩაბარონ 32 ბინა.

როგორც „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსმა უშანგი გოჯიაშვილმა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს, საკმაო სიძნელეებია მეტროპოლიტენის მშენებლობების კვალიფიციური მუშებით უზრუნველყოფაშიც. დღეისათვის აკლიათ 400-ზე მეტი კაცი. ამიტომ იძულებული არიან მიმართონ ეგრეთ წოდებულ „ვახტურ“ სისტემას, როცა ორ-ორი კვირის ვადით იწვევენ შენებლობებზე თბილისის მახლობელ რეგიონებში მცხოვრებ მუშებს.

— რა თქმა უნდა, ეს ამსუბუქებს სიტუაციას, მაგრამ საერთო მდგომარეობას ვერ შველის, — თქვა მან. — ამიტომ ვსთხოვეთ შემთხვევით და მინდა მოვიწვიო თბილისელები მუდმივ სამუშაოზე. საკმაო გამოცდილების მქონე გვრარაგმაყვანებს, მეარმატურეებს, შემდუღებლებს ჩვენთან თვეში 500 მანეთამდე შეუძლიათ გამოიმუშაონ. (საქინფორმი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის იმ მოქალაქეთა თავისუფალი ეროვნული განვითარების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირების ფარგლებს გარეთ, ან არა აქვთ იგი სსრ კავშირის ტერიტორიაზე

კანონმა სსრ კავშირის იმ მოქალაქეთა თავისუფალი ეროვნული განვითარების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირებების ფარგლებს გარეთ, ან არა აქვთ იგი სსრ კავშირის ტერიტორიაზე, ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ურთიერთობის ჰარმონიზაციას, ყოველი ეროვნებისა და ეროვნული ჯგუფის სპეციფიკური ინტერესების დაკმაყოფილებას, ეროვნებათშორის ურთიერთობაში პატივისცემისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დამკვიდრებას.

კარი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. არ დაიშვება სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების არავითარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა ეროვნული კუთვნილების, ენის, ბინადრობის, საქმიანობის, გვარეობისა და ხასიათის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საცხოვრებელი ადგილის და სხვა გარემოებათა ნიშნით. სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირებების ფარგლებს გარეთ, ან არა აქვთ იგი სსრ კავშირის ტერიტორიაზე, გარანტირებული აქვთ უფლებრივი თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მუხლი 2. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირებები სსრ კავშირში ხელს უწყობენ იმ მოქალაქეთა ეროვნული, კულტურული, სულიერი და ენობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლებიც განკუთვნებიან ხალხებს, რომლებმაც მისცეს სახელწოდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმირებას და ცხოვრობენ მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 3. სხვადასხვა ეროვნებებისა და ეროვნული ჯგუფების მოქალაქეთა ეროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს იმ ეროვნული ერთობების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რომელთა შორის ცხოვრობენ ისინი.

კარი II.

სხვადასხვა ეროვნებისა და ეროვნული ჯგუფის მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის სფეროში სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებათა გამიჯვნის საფუძვლები

მუხლი 4. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას განეკუთვნება:

ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საერთაშორისო-სამართლებრივი ნაბიჯების გადაჭრასთან ერთად უზრუნველყოფენ ეროვნული ჯგუფების ინტერესებს ეროვნული ერთეულების ფარგლებს გარეთ, ან არა აქვთ იგი სსრ კავშირის ტერიტორიაზე, გარანტირებული აქვთ უფლებრივი თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მუხლი 2. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირებები სსრ კავშირში ხელს უწყობენ იმ მოქალაქეთა ეროვნული, კულტურული, სულიერი და ენობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლებიც განკუთვნებიან ხალხებს, რომლებმაც მისცეს სახელწოდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმირებას და ცხოვრობენ მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 3. სხვადასხვა ეროვნებებისა და ეროვნული ჯგუფების მოქალაქეთა ეროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს იმ ეროვნული ერთობების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რომელთა შორის ცხოვრობენ ისინი.

კარი III.

ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები

მუხლი 7. იმ ეროვნული ჯგუფების კომპაქტური ბინადრობის ადგილებში მოქალაქეთა ეროვნული, კულტურული, სულიერი და ენობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხელშესაწყობად, რომლებიც შეადგენენ ამ ადგილის მოსახლეობის უმრავლესობას და არა აქვთ თავიანთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირებები სსრ კავშირის ტერიტორიაზე, შეიძლება შეიქმნას ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (ეროვნული რაიონები, ეროვნული დაბები და ეროვნული სასოფლო საბჭოები).

ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შექმნის საფუძველია ამ მუხლის პირველ ნაწილში ნახსენებ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობის ნება-სურვილის ნებაყოფლობითი გამოხატვა. გადაწყვეტილებას ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვრების, მისი შექმნის საკითხზე მოსახლეობის ნება-სურვილის გამოხატვის ვადებისა და ფორმების შესახებ იღებს მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის საკითხებს ამზადებენ ადგილობრივი საბჭოები, ეროვნული ეკლესიები და სკოლების შექმნა;

ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ყოფის განვითარება;

მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიღებას.

მუხლი 11. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები ეროვნული ეროვნული, ეროვნული ეროვნული ეროვნული

მეცნიერების ბედი თვით მეცნიერებმა უნდა გადაწყვიტონ

ახლა, დემოკრატიზაციისა და სსჯაროობის ვიტარებაში, როცა გულახდილად ვმსჯელობთ ისეთ მნვავე პრობლემებზე, რომელზეც წინათ ლაპარაკი მხოლოდ ნართაულად და მინიშნებებით თუ შეიძლებოდა, გულახდილად ვალიარებთ იმასაც, რომ ჩვენი მეცნიერება („ყველაზე მონინავე საბჭოური მეცნიერება") სავალალო დღეშია. უეჭველია, რომ მისი ეს მდგომარეობა მხოლოდ ცალკეული პიროვნებების ან სამეცნიერო უნყებების ბრალი არ არის. იგი მთლიანად ქვეყნის კრიზისულმა სიტუაციამ გამოიწვია, რომელიც მრავალი წლის წინათ დაიწყო და ყოველწლიურად სულ უფრო ღრმავდება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინსვლა შეუძლებელია მხოლოდ ლოზუნგებითა და დადგენილებებით. არსებობს მეცნიერების განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი, რომლებიც ორგანულადაა დაკავშირებული სახელმწიფოს. პოლიტიკურ და სოციალურ წყობასთან, მის ეკონომიკასთან. მაგრამ გულხელდაკრეფილი ჯდომამ და უკეთესი დღეების ლოდინი, ცხადია, ხელს არ მოგვცემს. საჭიროა გადაუდებელი ღონისძიებები ჩვენი მეცნიერების განვითარებისათვის, შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებისათვის. ამ საკითხზე „კომუნისტის" რედაქციის განყოფილების გამგეს ნანული ბარამაშვილს ესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გურამ გველესიანი.

—ბატონო გურამ, რით აიხსნება საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში მეცნიერების განვითარების ასეთი ჩამორჩენა?

— გლობალურად საბჭოთა კავშირი ყოველთვის ჩამორჩებოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს მეცნიერებაში და, განსაკუთრებით, მეცნიერული მიღწევების განხორციელების საქმეში (რომ იტყვიან, ფაქტი თვალწინაა). გამონაკლისი იყო სახალხო მეურნეობის რამდენიმე დარგი, რომელთა განვითარებისათვის სახელმწიფო დიდძალ თანხას ხარჯავდა. მართალია, ქვეყნის მდიდარი შემოქმედებითი პოტენციალი შესანიშნავ მეცნიერულ იდეებს. ბობდა, რომელთა განხორციელება დიდ მიღწევებს მოგვაპოვებინებდა თეორიისა და პრაქტიკაში, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ლიდერთა მიერ მეცნიერების მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით მართვამ, მათმა არაკომპეტენტურობამ ამ საკითხებში (გავიხსენოთ, თუნდაც, ფიზიოლოგიის, გენეტიკისა და კიბერნეტიკის დევნა და რბევა), მრავალი სახელგანთქმული მეცნიერის მოსპობამ, მეცნიერული დაწესებულებების ელემენტარული ავტონომიის უგულებელყოფამ და, ბოლოს, ფულადი სახსრების მუდმივმა დეფიციტმა ძლიერ შეაფერხა მეცნიერების მრავალი მოწინავე დარგის განვითარება და, ამრიგად, მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი.

არც სახელმწიფოს ეკონომიკური სტრუქტურა უწყობდა ხელს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ყღერდეს, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საგრძნობლად აფერხებდა მოწინავე მეცნიერული მიღწევების დანერგვას მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში, რადგან, გარკვეული მიზეზების გამო, ეს უარყოფითად მოქმედება ცალკეული დარგებისა და უწყებების მაჩვენებლებზე.

— როგორ გესახებათ მეცნიერების განვითარება პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელ საქართველოში?

— გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეს ახლებურად მიუდგებიან. მაგრამ ეს მუშაობა აუცილებელია დღესვე დავიწყოთ. მეცნიერების განვითარების უზრუნველყოფა მოითხოვს სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე მრავალი კარდინალური საკითხის გადაწყვეტას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღიკვეთოს მეცნიერებისადმი უსულგულო დამოკიდებულება; კარგად უნდა შევიგროთ მისი უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოებრივ და საწარმოო ურთიერთობათა განახლების პროცესში. როგორც მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ფუნდამენტური მეცნიერების უპირატესი განვითარებით. მეცნიერების ბედი თვით მეცნიერებმა უნდა გადაწყვიტონ და არა მოხელეებმა. აუცილებელია მივაღწიოთ მეცნიერებისა და თვით მეცნიერთა უფლებრივ უზრუნველყოფას; საჭიროა მეცნიერების თაობაზე საგანგებო კანონის შემუშავება და მიღება. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მეცნიერთა როლის ახლებურად გააზრებას დამოუკიდებელი საქართველოს მართვის სისტემაში. ასეთი პრაქტიკა აქვთ მრავალ განვითარებულ ქვეყანაში.

— ამ საერთო ამოცანის გადაწყვეტაში, ალბათ, არსებობს პირველი რიგის ამოცანები?

— რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, ყველაზე აქტუალური და სასწრაფოდ მოსაგვარებელია მეცნიერთა კადრების მომზადების საკითხი, მეცნიერების ხელმძღვანელობის შემდგომი დემოკრატიზაცია, მისი განვითარების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების სწორი პროგნოზირება, სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაცია.

მეცნიერულ პროგრესს მნიშვნელოვანწილად მეცნიერული, კადრების ტალანტი და კვალიფიკაცია განსაზღვრავს. ამიტომ მათ მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. ვინ არ იცის, რომ დღეს სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები ჯერ-ჯერობით ვერ ასრულებენ თავიანთ მისიას მაღალზნეობრივი და კარგად განსწავლული მოქალაქისა და სპეციალისტის ჩამოყალიბების საქმეში. ეს პრობლემა ცალკე მსჯელობის საგანია და, დარწმუნებული ვართ, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დარგის სპეციალისტები იზრუნებენ მისი გადაწყვეტისათვის. რაც შეეხება ახალგაზრდა სპეციალისტს, რომელიც აპრობირებულია სამეცნიერო მოღვაწეობისათვის (ჩემი აზრით, ეს აპრობაცია უნდა წარმოებდეს კვლევითი ინსტიტუტების ან უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ლაბორატორიებში სტუდენტთა 2-3 წლიანი სტაჟირებით)... უთუოდ უნდა გადაისინჯოს მეცნიერული კადრების მომზადების ზოგიერთი დებულება.

— მოდით, უფრო დეტალურად ვისაუბროთ ამ საკითხზე.

— ცნობილია, რომ ასპირანტურაში მისაღები კანდიდატურების შერჩევა აუცილებლად კონკურსით უნდა ხდებოდეს. დღეს ეს იშვიათად ხდება. ამის ერთერთი მიზეზია დაბალი მატერიალური უზრუნველყოფა. უნდა გაიზარდოს ასპირანტის სტიპენდია — მას უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის საშუალო ხელფასი მაინც უნდა ჰქონდეს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ასპირანტურაში აბარებენ დაოჯახებული ახალგაზრდებიც. ამიტომ მათ სტიპენდია უნდა მოემატოთ, თორემ ასპირანტურის დაკომპლექტება დამოკიდებული იქნება მშობლების მატერიალურ შესაძლებლობაზე. საჭიროა გადაისინჯოს ასპირანტურაში სწავლების ვადები, ვიხსენიდან ბევრ დარგში სადისერტაციო თემის შესრულება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პირობებში, უფრო ხანგრძლივ ვადებს მოითხოვს. გადასასინჯია აგრეთვე სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების საკითხიც. უნდა უარვყოთ კოლექტიური პუბლიკაციების მავნე პრაქტიკა. სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი დამოუკიდებლად უნდა ასრულებდეს სამეცნიერო დამუშავების თვის ნაწილს და, ჩვეულებრივ, მიღებულ შედეგს აქვეყნებდეს მეცნიერ ხელმძღვანელთან ერთად. ეს გამართლებულია როგორც მეთოდოლოგიური, ასევე ეთიკური თვალსაზრისით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა მეცნიერთა მიზნობრივ ასპირანტურაში და სტაჟირებაზე გაგზავნას. ხელი უნდა შეეუწყოთ მათ გრძელვადიანი მივლინებით გაგზავნას მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. მაგრამ კვალიფიკაციის ამაღლების ეს ფორმა ძირითადად უნდა ემსახურებოდეს ამა თუ იმ აქტუალური და პერსპექტიული მეცნიერული მიმართულების ათვისებასა და განვითარებას. თავის დროზე ასეთმა ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში მეცნიერული პოტენციალის სწრაფ ზრდას.

— რა აზრისა ბრძანდებით ორი დისერტაციის დაცვის საჭიროებაზე, რაზეც მეცნიერის შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე პროდუქტიული თხუთმეტი-ოცი წელი იხარჯება?

— მიზანშეწონილად მიმაჩნია დისერტაციის დასაცავად დარჩეს მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხი (რომელსაც, საკანდიდატო დისერტაციასთან შედარებით, მეტი მოთხოვნა უნდა წაეყენოთ), გაუქმდეს მისი დაცვის ბიუროკრატიული მექანიზმი და საგრძნობლად გაფართოვდეს გამოცდების ნომენკლატურა ძირითადი და მომიჯნავე თეორიული დისციპლინების ხარჯზე. ამასთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს გამოთვლითი ტექნიკის, ინფორმატიკისა და მათემატიკური მოდელირების დისციპლინების ჩაბარებაზე. მხოლოდ ასე მივიღებთ შრომისუნარიან, მაღალკვალიფიციურ ახალგაზრდა მეცნიერს.

— ამ ბოლო დროს საზოგადოების გარკვეულ წრეებში გავრცელდა აზრი, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა გაუქმებულიყო მეცნიერებათა აკადემია. ამის თაობაზე რას ფიქრობთ?

— ნგრევა შენებაზე გაცილებით ადვილია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ნახევარი საუკუნისაა და ამ ხნის მანძილზე მრავალი სასიკეთო სამეცნიერო გადაწყვეტილების მოთავეა. ამ შემთხვევაში პრობლემის გადაწყვეტა ახალი საორგანიზაციო სტრუქტურის შექმნა კი არა, მისი მოდერნიზაცია უნდა იყოს. ალბანიშნავია, რომ აკადემიის დემოკრატიზაციის საკითხები არაერთხელ ყოფილა პრეზიდიუმის მსჯელობის საგანი. გადაიდგა კიდეც ნაბიჯები მისი შემდგომი დემოკრატიზაციისა და მეცნიერების მართვის უფრო სრულყოფილი ფორმების მოსაძებნად. უწინარესად, აკადემია უნდა გარდაიქმნას ადმინისტრაციულად და ფინანსურად დამოუკიდებელ ორგანიზაციად, რომლის ძირითადი მიზანი იქნება, უმაღლესი სასწავლებლებისა და უწყებრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წამყვან მეცნიერებთან ერთად, რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გენერალური მიმართულებების შერჩევა და მათი განხორციელებისათვის სათანადო პროგრამების შედგენა-დამუშავება. ამასთანავე, გასაგები მიზეზების გამო, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ მეცნიერულ მიმართულებებს და პროგრამებს, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება ჩვენი ხალხის შემდგომი სულიერი, ფიზიკური და მატერიალური განვითარების შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე იმ აქტუალურ ფუნდამენტურ მიმართულებებს, რომელთა ტრადიციები და პრიორიტეტი ჩვენში საქვეყნოდ აღიარებულია. აღნიშნული სამუშაოები აკადემიამ უკვე დაიწყო.

მეცნიერების ფუნდამენტურ პრიორიტეტულ მიმართულებებს პროგრამების სახით სისტემატურად უნდა აფინანსებდნენ (ბიუჯეტიდან) უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომისია, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებს — მთავრობა, აგრეთვე დარგობრივი სახელმწიფო ორგანიზაციები (სამინისტრო, საწარმო და ა. შ.) და კერძო სექტორი (კოოპერატივები, ფირმები, ასოციაციები). მიზანშეწონილად მიმაჩნია, მეცნიერებათა აკადემიისა და საუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების კვლევითი თემატიკის დაფინანსება კონკურსების საფუძველზე. მის შესრულებას კონტროლი უნდა გაუწიონ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილმა სპეციალიზებულმა საბჭოებმა. ეს უზრუნველყოფს ფუნდამენტურ და გამოყენებით დამუშავებათა მეცნიერულ ხარისხს და შექმნის მათი კოორდინაციის რეალურ საფუძვლებს.

მეცნიერებათა აკადემიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ეკოლოგიის საკითხებს— მონიტორინგის სისტემების შექმნას, რესპუბლიკაში ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლასა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გაკეთას (აკადემიაში შექმნილმა ბიოსფერული და ეკოლოგიური კვლევის კომისიამ ამ მხრივ უკვე გადადგა ნაბიჯები), სხვადასხვა რესპუბლიკის აკადემიებთან სამუშაოთა კოორდინაციის, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, მისთვის ახალი ფორმების გამონახვას და სრულყოფას, სამეცნიერო კადრების მომზადებას... ყოველივე ეს დადებითად იმოქმედებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებაზე.

აკადემიის შემდგომი დემოკრატიზაციის ფონზე საჭიროა სამეცნიერო კოლექტივები მაქსიმალურად განთავისუფლდნენ წვრილმანი მეურვეობისაგან. უნდა გაიზარდოს მათი დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა. მათი არსებობის უფლებამოსილებაზე უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ მიღწევების მიხედვით. აქვე საჭიროა სერიოზულად ჩავუფიქრდეთ, საჭიროა თუ არა ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ეგზომ მომრავლებული (ხშირად მონათესავე პროფილის) სამეცნიერო უწყებანი? მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, პროდუქტიულობის თვალსაზრისით არსებითი უპირატესობა აქვთ ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო დაწესებულებათა მცირერიცხოვან კოლექტივებს.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს იმ მავნე სენს, რომელსაც იწვევს სამეცნიერო სკოლებისა და ცალკეულ მეცნიერთა მიერ სამეცნიერო მემართულებათა მონოპოლიზაცია, რაც უარყოფითად მოქმედებს, საერთოდ, მეცნიერთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მეცნიერთა შემოქმედებით ინიციატივაზე და ქმნის არაჯანსაღ გარემოს. რა თქმა უნდა ძნელია ბრძოლა ამ ფეხმოკიდებულ სენთან, მაგრამ სამეცნიერო

ფრიადი... სიმღერისათვის

დაიხსომეთ ეს სახელი — ანა ცქვიტინიძე, თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მეორე კლასის და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის მოსწავლე, სადაც პედაგოგ მაია ბერიძის ხელმძღვანელობით ფორტეპიანოს დაკვრის ხელოვნებას ეუფლება.

...5 წლის იყო ანა, პირველი მელოდია რომ შეთხზა. შემდეგ „სერიოზულად" მოჰკიდა ხელი მუსიკას და ზედიზედ შექმნა სიმღერები „გვირილა" და „სამაისო", „ზამთარი" და „ჯუჯები", „საქართველო"... და პატარა კომპოზიტორი, რომელიც როიალს ძლივს წვდებოდა, თავის დასთან ნინოსთან ერთად ასრულებდა ამ სიმღერებს. მერე, წერა-კითხვა რომ ისწავლა, ექვსი წლისამ სიმღერები დაწერა გალაკტიონ ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ჯემალ ჩახავას, ეკა ბაქრაძის ლექსებზე. სულ ახლახანს კი სიმღერებად აქცია ანა კალანდაძისა და ლეილა ერაძის ლექსები.

ამას წინათ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ეკა ბაქრაძის პოეზიის საღამო. ცხადია, უდიდესი ინტერესი გამოიწვია ამ უნიჭიერესი ნორჩი პოეტის შემოქმედებასთან შეხვედრამ. საღამოში მონაწილეობდნენ ნორჩი კომპოზიტორი ანა ცქვიტინიძე და მისი განუყრელი მეგობრები.

ნუ მოგვეშალოს ის სიხარული, რომლითაც ასე უხვად გვასაჩუქრებს ანა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, გზა დაგულოცოთ გოგონას და არა ერთი და ორი გამარჯვება ვუსურვოთ.

მერი ბაბრიაძე,
საქინფორმის კორ.

• • •

სურათებზე: ნორჩი კომპოზიტორი ანა ცქვიტინიძე; პედაგოგი მაკა არაშვილი თავის აღსაზრდელებთან.

გონდო დვალიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პროკურატურაში

ამ ბოლო დროს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებმა ტ. ხ. გდლიანმა და ნ. ვ. ივანოვმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაფრთხილეს პროკურატურამ და სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ, კერძოდ, ა. წ. 18 აპრილის დადგენილებით, გააძლიერეს ცილისმწამებლური კამპანია მთელი რიგი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების, მათ შორის სსრ კავშირის პრეზიდენტის წინააღმდეგ.

ნაირ-ნაირ მიტინგებზე და ინფორმაციის საშუალებებში ისინი უსაბუთოდ, აშკარად პროვოკაციული მიზნით ამტკიცებენ, თითქოს მ. ს. გორბაჩოვი გარეული იყოს მდგომარეობის ანგარებითის ბოროტად გამოყენებასა და მაფიის მფარველობაში. თავიანთი მონაჩმახისათვის მოჩვენებითი სიმართლის მისანიჭებლად, ისინი იშველიებენ ვიღაც პირების იდუმალ ჩვენებებს მითური „ჩრდილოეთ კავკასიის" საქმის გამო.

ამ საშიშ პოლიტიკურ ავანტიურაში ჩაება მათი ზოგიერთი თანამოსაქმეც, რომელთა შორის განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატი ტ. ი. კორიაგინა. სხვათა შორის, მან დეპუტატის მანდატი იმავე ოლქში მიიღო, რომელშაც გდლიანი აირჩია.

სსრ კავშირის პროკურატურას თავი მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს, რომ საპროკურორო-საგამოძებო ორგანოების იმ წინადადების მიუხედავად, რომ დაასახელონ გავრცელებული ცნობების კონკრეტული წყაროები, გდლიანი და ივანოვი ამ წყაროებს არ ასახელებენ და იშველიებენ ზოგად დემაგოგიურ მსჯელობას, ხოლო კორიაგინას საბუთად მოჰყავს იგივე გდლიანის დაუსაბუთებელი მტკიცებანი.

პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების წარმოებაში არსებულ საქმეთა ყოველმხრივი და სგულდაგულო შემოწმების შედეგ სსრ კავშირის პროკურატურა მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ არც ერთი მათგანი არ შეიცავს არავითარ ცნობებსა და მონაცემებს, რომლებიც ჩრდილს მიაყენებდნენ სსრ კავშირის პრეზიდენტს.

მიუხედავად ამისა, გდლიანი, ივანოვი, აგრეთვე კორიაგინა დემონსტრაციულად უგულებელყოფენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებას და პროკურატურის ორგანოების გაფრთხილებას კანონსაწინააღმდეგო ქცევის შეწყვეტის შესახებ, და ჯიუტად ახვევენ სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ მიმართულ ინსინუაციებს ქვეყნის ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით. ამასთან აშკარად ბოროტად იყენებენ საკაროობასა და დეპუტატის ხელშეუხებლობას. გდლიანის, ივანოვისა და კორიაგინას აღნიშნული ბოროტგანზრახული მოქმედება არათუ არ შეესატყვისება სახალხო დეპუტატის სტატუსსა და ეთიკურ ნორმებს, არამედ ექვემდებარება კოდექს პასუხისმგებლობას კანონის მიხედვით, რაც სსრ კავშირის პროკურატურას საჭიროდ მიაჩნია აცნობოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს და რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს. ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲕᲘᲓᲐᲜᲑᲐ. საბჭოთა ნაკრების ტრადიციული გამარჯვებით დამთავრდა ვარშავაში გამართული თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად ჩემპიონის ტიტული მხოლოდ სამმა საბჭოთა მოჭიდავემ მოიპოვა.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. ჰამბურგის საერთაშორისო ტურნირზე მორიგ წარმატებას მიაღწია უფელმა ანდრია ჩერკასოვმა, რომელმაც დასავლეთგერმანელი იენს ვერმანი დაამარცხა — 6:4, 6:1 და მერვედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი — ბორის ბეკერი იქნება. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: მაგნუს გუსტაფსონი (შვეცია) მარჩელო ფილიპინი (ურუგვაი) — 6:3, 5:7, 6:3; ფრანკო დევინი (არგენტინა) — რონალდ აგენორი (ჰაიტი) — 6:3, 2:6, 6:2; აარონ კრიეშტეინი (აშშ) — ხაიმე იაზაგა (პერუ) — 7:6, 6:2.

რომში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში დამარცხდა არგენტინელ მერსედეს პასთან — 4:6, 5:7.

ᲘᲚᲘᲐ ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

**ᲘᲚᲘᲐ ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲓᲐᲘᲜᲢᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ Ა. შ.) ექსპერტი, რომლის ორგანიზაციასაც ითავებს და შეფობას გაუწევს ახლად შექმნილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საგარეოეკონომიკური ასოციაცია, ხოლო ინსტიტუტებში შემოსული ვალუტა საჭირო უცხოური მოწყობილობა-დანადგარების შეძენაზე დაიხარჯება. ამასთანავე საჭიროა ყოველმხრივ შეეწყოს ხელი სამეცნიერო ხელსაწყოების კოლექტიური გამოყენების მძლავრი ცენტრების ფართო ქსელის შექმნის, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს უნიკალურ და ძვირადღირებულ ექსპერიმენტულ მოწყობილობათა დიდი მარგი ქმედების კოეფიციენტით გამოყენებას.

ამ დეფიციტის ნაწილობრივ შესავსებად მეცნიერებათა აკადემიამ ინსტიტუტები მასობრივად აღჭურვა უცხოური გამოთვლითი ტექნიკით. ახლა უნდა გადაისინჯოს სამეცნიერო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემაც, რომ იგი უფრო მობილური და ოპერატიული გახდეს. დაუშვებელია, რომ მეცნიერები თვეობით და ხშირად წლობით უცდიდნენ კვლევითი სამუშაოებისათვის განკუთვნილ ისედაც მცირე ნომენკლატურის დანადგარ-მოწყობილობებს.

— აქტუალურ ამოცანათა შორის, სასწრაფო გადაწყვეტას რომ მოითხოვს, თქვენ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია დასახელეთ.

— ფუნდამენტური მეცნიერული შუამობის პარალელურად აკადემიის სისტემის ინსტიტუტები ტრადიციულად საკმაოდ ფართო მასშტაბის გამოყენებითი ხასიათის კვლევა-ძიებას ეწევიან. ამის მიზეზი მრავალია და მათ შორის მთავარია აკადემიური მეცნიერების ტრადიციული უსახსრობა დარგობრივ მეცნიერებასთან შედარებით. აი ამის დამადასტურებელი ფაქტიც: 1987 წელს საერთოდ მეცნიერებისათვის საბჭოთა კავშირში ასიგნებული იყო 33 მილიარდი მანეთი (შედარებისათვის — შეერთებულ შტატებში მეცნიერებას იმავე წელს გამოეყო 140 მილიარდი დოლარი), საიდანაც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წილად მოდიოდა 2 მილიარდი მანეთი. აქედან ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა უმნიშვნელო წილი ერგებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

საბჭოთა კავშირში სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებათა მრეწველობაში დანერგვის მასშტაბზე შეიძლება 1989 წლის მონაცემებითაც ვიმსჯელოთ. მიღწეულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 6 მილიარდ მანეთზე ცოტა მეტი შეადგინა, მეცნიერებაზე კი 33 მილიარდი მანეთი დაიხარჯა. ეს ფაქტი, ალბათ, განმარტებას არ საჭიროებს.

წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებათა დანერგვისათვის მნიშვნელოვანი პირობაა მათი პრაქტიკული გამოყენების მომზადების მაღალი დონე, ამას კი ძლიერი საცდელ-საწარმოო ბაზა სჭირდება. ვინაიდან სამეცნიერო ორგანიზაციების უმრავლესობას საკუთარი ბაზა არ გააჩნია, დანერგვის სამუშაოებიც შესაბამისად გვიანდება. ამდენად, მძლავრი საცდელ-საწარმოო ბაზების შექმნა აკადემიის ინსტიტუტებისათვის უპირველეს ამოცანად გვესახება.

სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა რეალიზაციას წინ ეღობება მრავალი სერიოზული დაბრკოლება, კერძოდ, საუწყებო ბარიერები და ის, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები არ არიან დაინტერესებული ახალი ტექნოლოგიების დანერგვით (ამას კი იწვევს გეგმის შესრულების ჩაშლის შიში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ფასწარმოქმნაში უწესრიგობა და მრავალი სხვა).

სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე წარმოების თანდათანობითმა გადასვლამ საგრძნობლად უნდა შეამციროს აღნიშნული წინააღმდეგობანი, მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია მეცნიერებისათვის გამოყოფილი ხარჯების შემცირების ტენდენციაც, რასაც მოჰყვება სახელშეკრულებო თემატიკის დაფინანსების შეზღუდვა საწარმოების მიერ, მათი ფინანსური შესაძლებლობის შემცირების მოტივით. ამ ნეგატიურმა მოვლენამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ჩვენი ეკონომიკის გარდაქმნის საქმეს. აღნიშნული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ საწარმოები მატერიალურად დაინტერესდნენ სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებათა დაფინანსებითა და დანერგვით, რასაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს საკონკურენტო-საბაზრო სისტემაზე გადასვლა და საგადასახადო შეღავათების შემოღება. მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აგრეთვე იმ მეცნიერთა დამატებითი ეკონომიკური დაინტერესება, რომლებიც უშუალო მონაწილეობას მიიღებენ გამოყენებითი ნამუშევრების დანერგვაში.

— ფუნდამენტური მეცნიერული შუამობის პარალელურად აკადემიის სისტემის ინსტიტუტები ტრადიციულად საკმაოდ ფართო მასშტაბის გამოყენებითი ხასიათის კვლევა-ძიებას ეწევიან. ამის მიზეზი მრავალია და მათ შორის მთავარია აკადემიური მეცნიერების ტრადიციული უსახსრობა დარგობრივ მეცნიერებასთან შედარებით. აი ამის დამადასტურებელი ფაქტიც: 1987 წელს საერთოდ მეცნიერებისათვის საბჭოთა კავშირში ასიგნებული იყო 33 მილიარდი მანეთი (შედარებისათვის — შეერთებულ შტატებში მეცნიერებას იმავე წელს გამოეყო 140 მილიარდი დოლარი), საიდანაც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წილად მოდიოდა 2 მილიარდი მანეთი. აქედან ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა უმნიშვნელო წილი ერგებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

საბჭოთა კავშირში სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებათა მრეწველობაში დანერგვის მასშტაბზე შეიძლება 1989 წლის მონაცემებითაც ვიმსჯელოთ. მიღწეულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 6 მილიარდ მანეთზე ცოტა მეტი შეადგინა, მეცნიერებაზე კი 33 მილიარდი მანეთი დაიხარჯა. ეს ფაქტი, ალბათ, განმარტებას არ საჭიროებს.

წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებათა დანერგვისათვის მნიშვნელოვანი პირობაა მათი პრაქტიკული გამოყენების მომზადების მაღალი დონე, ამას კი ძლიერი საცდელ-საწარმოო ბაზა სჭირდება. ვინაიდან სამეცნიერო ორგანიზაციების უმრავლესობას საკუთარი ბაზა არ გააჩნია, დანერგვის სამუშაოებიც შესაბამისად გვიანდება. ამდენად, მძლავრი საცდელ-საწარმოო ბაზების შექმნა აკადემიის ინსტიტუტებისათვის უპირველეს ამოცანად გვესახება.

სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა რეალიზაციას წინ ეღობება მრავალი სერიოზული დაბრკოლება, კერძოდ, საუწყებო ბარიერები და ის, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები არ არიან დაინტერესებული ახალი ტექნოლოგიების დანერგვით (ამას კი იწვევს გეგმის შესრულების ჩაშლის შიში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ფასწარმოქმნაში უწესრიგობა და მრავალი სხვა).

**სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე წარმოების თანდათანობითმა გადასვლამ საგრძნობლად უნდა შეამციროს აღნიშნული წინააღმდეგობანი, მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია მეცნიერებისათვის გამოყოფილი ხარჯების შემცირების ტენდენციაც, რასაც მოჰყვება სახელშეკრულებო თემატიკის დაფინანსების შეზღუდვა საწარმოების მიერ, მათი ფინანსური შესაძლებლობის შემცირების მოტივით. ამ ნეგატიურმა მოვლენამ შეიძ